# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 14 ნოემბერი 2007 №264 (3187) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტოპმიოლერის რინგი რეიტინგია

### საქართველო რუსეთიდან შეივსება





## პლატინი ბობოლებს ეომება და ჩვენ ამით რა?!

ეჰ, არ არის საწყალი კაცის საშველი. ჩემპიონთა ლიგის ახალ ფორმატზე მოგახსენებთ, რაც უეფას საპრეზიდენტო არჩევნებისას მიშელ პლატინის საპროგრამო გეგმის ნაწილი გახლდათ და რომლითაც პატარა ქვეყნების ჩემპიონებს ლიგაში მოხვედრის შანსი უნდა გაზრდოდათ.

პატარებში და საწყლებში, ვაგლახ, ქართველებიც გავდივართ. თუმც პლატინისაც ბევრს ნურაფერს დავაბრალებთ: მისი გეგმის განხორციელებას წინ ბობოლა საფეხბურთო ქვეყნები და მდიდარი კლუბები უდგანან.

საქმე კი ასეა: დეკემბერში უეფას ალმასკომის სხდომაზე ალბათ იმ ფორმატს დაამტკიცებენ, რომლის თანახმადაც, საქართველოს ჩემპიონს, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი თუ გადალახა, მეორე ეტაპზევე შეიძლება დაეჯახოს რომელიმე ბობოლა კლუბი.

დასამტკიცებელ პროექტში პლატინისეული იდეების ნაწილი მაინც რჩება, ოღონდ ქართველებს ეს არ გვეხება. პროექტის სხვა დეტალები კი „სარბიელის“ მე-8 გვერდზე შეგიძლიათ წაიკითხოთ...



## ისრაელს ცნობიერება პირდაპირ ეთერში აუფეთქეს

### არაბი არაფერ შუაშია: ებრაელს ბომბი ებრაელმა ესროლა!

ისრაელის საკალათბურთო ჩემპიონატის მატჩისას, რომელსაც ტელევიზია პირდაპირი ეთერით გადასცემდა, ტრიბუნიდან თვითნაკეთი ბომბი ისროლეს. იერუსალიმურ „ჰაპოელს“ ჰოლონური „ჰაპოელი“ მასპინძლობდა და სტუმართა გულშემატკივარმა მეტოქის სათადარიგოთა სკამისკენ ასაფეთქებელი გადააგდო. დაცვის სამსახურის თანამშრომელს 3 თითის ამპუტაცია დასჭირდა.

გულშემატკივარ-ტერორისტი იოსი მალახი ადგილზევე დააკავეს, მოგვიანებით კი მისი ორი მეგობარიც შეიპყრეს. ექვმიტანილებს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს და გამოძიებაც დაიწყო.

თამაში, რა თქმა უნდა, ჩაიშალა...

# უნდა მოვიგოთ!

## დღე პირველი: გოგუას ტრავმამ ლიტვა დაუტოვა





ლევან მჭედლიძე და ზურაბ ხიზანიშვილი

**ესეც** საყატარო-სალიტვოდ პირველი სავარჯიშო დღე: საქართველოს ეროვნული ნაკრები 18 საათზე მოადგა „მიხეილ მესხს“, ავტობუსიდან გადმოსულთა შორის კი არ იყვნენ რალფ მინგე, მალხაზ ასათიანი, ლაშა სალუქვაძე, გოგიტა გოგუა და დავით სირაძე.

სირაძის „პადერბორნს“ გუშინ მეორე ბუნდესლიგის მატჩი ჰქონდა და ისიც და „რუსული სამეულიც“ ნაკრებთან ერთად დღეიდან იქნებიან.

ვარჯიშის დაწყებამდე *კლაუს ტოპმიოლერმა* ჟურნალისტებისთვის მოიცალა: „მნიშვნელოვანი მატჩები გველის. ორივე თამაშის მოგება გვინდა და ეს უნდა მოვახერხოთ, რადგან რეიტინგში ავიწევთ...

...მე საქართველოს ნაკრებში ვაგრძელებ მუშაობას და არ ვიცი, რატომ დაიყარა ჭორები, თითქოს აქედან წავედი. „კაიზერსლაუტერნში“ მხოლოდ სპორტული მრჩეველი ვარ. დიახ, მე შევთავაზე „ლაუტერნს“ ლევან ცქიტიშვილი და ეს ტრანსფერი, შესაძლოა, ზამთარშივე განხორციელდეს. გარდა ამისა, „ლაუტერნში“ მუშაობა ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელების გერმანიაში გადაყვანასაც შეუწყობს ხელს. მათ სიტყვას ყოველთვის შევაწევ...

...ნაკრები ხვალ სრული შემადგენლობით იქნება, მხოლოდ, გოგიტა გოგუას აწუხებს მცირე ტრავმა და ის ყატარისთვის კი არა, ლიტველებთან 21 ნოემბრის მატჩისთვის მოემზადება.“

აქვე ვთქვათ, რომ ნაკრები დღეს ისევ „მიხეილ მესხზე“, ოღონდ 16 საათზე ივარჯიშებს, ყატარში კი ხვალ დილით გაფრინდება.

რაც შეეხება გუშინდელ ვარჯიშს, დიდად დატვირთული არ ყოფილა. ჯერ ჩვეულებრივი კვადრატები, შემდეგ ნახევარ მოედანზე და ბოლოს მეოთხედზე ორკარა. ამან საათნახევარზე ცოტა ნაკლები დრო წაიღო.

ვარჯიშს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმაც უყურა.

ქვეყანაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ კითხვები გაჩნდა: რა ვითარებაში ჩატარდება 20 ნოემბერის საქართველო — რუსეთის ახალგაზრდული და 21 ნოემბრის საქართველო — ლიტვის ეროვნული ნაკრებების შეხვედრები.

ახალკაცმა გვითხრა, ყველაფერი რიგზეა, უკვე ორივე მხარეს ველაპარაკეთ და ჩამოსვლის პრობლემა არ ექნებათ, მატჩებიც დათქმულ ადგილზე და დათქმულ დროს გაიმართებაო.

ბოლოს კი ნაკრების მცველ *ზურაბ ხიზანიშვილსაც* ვესაუბრეთ...

— ორივე მატჩის მოსაგებად ვართ განწყობილნი. ისეთი მეტოქეები გვყავს, მათთან სხვა შედეგზე არც უნდა ვიფიქროთ.

**— ნაკრებში რამდენიმე ჭაბუკი ფეხბურთელი გამოჩნდა. მათზე რას იტყვი?**

— ნიჭიერები რომ არიან, ამას ჩემი მტკიცება არ უნდა. შანსი მიეცათ და მომავალშიც მიეცემათ, ამიტომ ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. შოტლანდიასთან თამაშის შემდეგ მთელი ბრიტანული პრესა მათზე წერდა.

**— „ბლექბერნში“ ხშირად არ გიწევს თამაში. კლუბის შეცვლას ხომ არ გეგმავ?**

— არ გადამიწყვეტია, სადმე გადასვლაზე ჯერ არ არის ლაპარაკი. ისე, „ბლექბერნმა“ შემომთავაზა კონტრაქტის გახანგრძლივება, მაგრამ არ ვჩქარობ.

**ილია ნანობაშვილი**



# კარს არ დავკეტავ!

შოტლანდიასთან კლაუს ტოპმიოლერმა სამი თინეიჯერი — გიორგი მაკარიძე, ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე ათამაშა. ყატარისა და ლიტვის ნაკრებებთან მოახლოებული მატჩებისთვის კი კიდევ ერთ დებიუტანტს, 18 წლის ამირან სანაიას უხმო, რომელმაც გუშინ პირველად ივარჯიშა ეროვნულში. გეხსომებათ, სექტემბერში სანაიამ და ვახტანგ ფანცხავამ ფრანგულ „ლე მანთან“ გააფორმეს კონტრაქტები, სანაიას პეტარ სეგრტი ახალგაზრდულ ნაკრებშიც მუდმივად იძახებდა, თუმც ტოპმიოლერის ნაბიჯი მაინც სიურპრიზი აღმოჩნდა ბევრისთვის...

— სიმართლე გითხრათ, ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას არ ველოდი, ახალგაზრდულისთვის კი ვემზადებოდი. ჩემი ასაკის ფეხბურთელისთვის ეს დიდი პატივია და ყველანაირად ვეცდები, მწვრთნელს აზრი არ შევუცვალო და ნაკრების კარი ჩემთვის მუდამ ღია იყოს.

**— „ლე მანში“ როგორ მოეწყვე?**

— ძალიან კარგად და თბილად მიგვიღეს მეც და ვახოც. უცხო და სხვა მენტალიტეტის ხალხია, მაგრამ სითბო და ყურადღება ყველაფერში იგრძნობა.

**— შენ სათამაშო პრაქტიკა არ გაკლია, ფანცხავა კი შემადგენლობაში არ ჩანს...**

— მე სასაყვედურო არაფერი მეთქმის, ვახოს კი ტრავმა აქვს და ჯერ ვერ თამაშობს.

**— როგორც ვიცით, მთავარ გუნდში ვარჯიშობ...**

— ასეა, მთავარ გუნდში ვვარჯიშობ და მეორე გუნდში ვთამაშობ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# არ ვიცი, წავალ თუ დავრჩები



რამდენიმე თვის წინ ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ თბილისის „დინამო 2“-ის მეკარე გიორგი მაკარიძეს ეროვნული ნაკრების კარს ანდობდნენ. ბევრისთვის მოულოდნელად, კლაუს ტოპმიოლერი შოტლანდიასთან მატჩში (2:0) სწორედ მაკარიძეს ენდო და მანაც იმედები გაუმართლა. ამის შემდეგ მაკარიძეზე მარტო საქართველოში კი არა, მთელ ევროპაში ალაპარაკდნენ. ტოპმიოლერის რჩევით იგი ორი კვირით „მიუნხენ 1860“-მაც წაიყვანა სტაჟირებაზე. გიორგი ახლა თბილისშია და ეროვნულ ნაკრებთან ერთად ემზადება...

**— ორი კვირის განმავლობაში „მიუნხენ 1860“-ში ვარჯიშობდი. რა მოგცა იქ გატარებულმა დღეებმა?**

— მიუხედავად იმისა, რომ ასე მცირე დროით ვიყავი, ბევრი ვისწავლე და თქმა არ უნდა, ჩემთვის ეს ძალიან კარგი იყო.

**— გუნდის მთავარი მწვრთნელი მარკო კურცი თუ გესაუბრა?**

— კურცი დიდ ყურადღებას მითმობდა, მითითებებსაც მაძლევდა... კარგი პიროვნებაა.

**— კლაუს ტოპმიოლერი ხომ არ დასწრებია შენს ვარჯიშს?**

— არა, ტოპმიოლერი მიუნხენში არ ჩამოსულა.

**— სანაკრებო თამაშების შემდეგაც ხომ არ წახვალ გერმანიაში?**

— ვერაფერს გეტყვით. ეს კლუბების ხელმძღვანელებმა უნდა გადაწყვიტონ და ვნახოთ...

**— გერმანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია „ჩელსიში“ შენი შესაძლო გადასვლის თაობაზე...**

— ეს ამბავი მეც პრესიდან გავიგე. პირადად არავინ არ დამკავშირებია და იმის თქმა შემიძლია, რომ ეს არასწორი ინფორმაციაა.

**ნუკრი ლოლაძე**

## ინგლისი

ასოციაციის თასი
I ეტაპი. გადათამაშება
სუონსი 1:0 იოვილი
კარლაილი 0:3 სტოკპორტი
ჰარტლპული 1:1 (2:4პ) მორეკემბი
გრიმსბი 2:2 (5:4პ) დონკასტერი
ბორნმუთი 0:2 დონსი
ჯილინგემი 4:0 დაგენემი
ლიდსი 1:2 ბერი

## ესპანეთი

თასის 1/16 ფინალი
I მატჩები
ალკორიანო 0:3 ბარსელონა
დენია 1:1 სევილია
ერკულესი 2:2 ბილბაო

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XIII ტური
კობლენცი 0:0 პადერბორნი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XVII ტური
დორტმუნდი (მ) 3:2 ემდენი

## პოლონეთი

ლიგის თასი. IV ტური
B ჯგუფი
ლეხი 0:0 პოლონია
D ჯგუფი
ბელხატუვი 2:2 გურნიკი

# ბოლო წუთის არითმეტიკა

## რატომ არის ზესტაფონი ლიდერი



ზურაბ იონანიძის ბოლო წუთის გოლი „მერანის“ კარში

გაზეთი კვირის პალიტრის ფოტო

**ფეხბურთი** ის თამაშია, 90 წუთი რომ გრძელდება — ეს აქსიომა ბევრჯერ თქმულა და ბევრჯერ გვინახავს მატჩის მიწურულს გატანილი გოლით მოგებული მატჩები.

საქართველოს ჩემპიონატში ამის კლასიკურ მაგალითს მიმდინარე სეზონის „ზესტაფონი“ იძლევა.

ეროვნული ჩემპიონატის ლიდერებს განვლილ 10 ტურში ბოლო წუთებზე გატანილით, ყველაზე მეტი, 7 ქულა აქვთ მოპოვებული.

„ზესტაფონმა“ ამ „ტრადიციას“ პირველივე ტურიდან ჩაუყარა საფუძველი, როცა ამჟამად მესამეადგილოსან „ვიტ ჯორჯიას“ ბოლო წუთზე ჟილვან ვიეირას გოლით გაუთანაბრა. ამ შედეგის გათვალისწინებითაა ახლა მათ შორის სხვაობა ექვსი ქულა.

მესამე ტურში იმერლებმა ზურაბ იონანიძის ორი გვიანი გოლით ზუგდიდის „მგლები“ დაამარცხეს. „იონამ“ სამი ქულა „ზესტაფონს“ მე-9 ტურში, თბილისის „მერანთანაც“ გაუხერხა. კიდევ ერთი სამქულიანი საჩუქარი კი გუნდს მე-6 ტურში გოგი ფიფიამ მოქმედ ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპთან“ მატჩში უსახსოვრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ოთხი მატჩიდან „ზესტაფონმა“ მხოლოდ ერთხელ იმარჯვა სტუმრად — „მერანთან“.

და კიდევ: განვლილ ათ ტურში ბოლო წუთზე სხვა გუნდებიდან „ამერს“ მოუგია კიდეც და წაუგია კიდეც. მოიგო დიმიტრი ტატანაშვილის პენალტით მე-7 ტურში სტუმრად „ცხინვალთან“, ხოლო წააგო ნიკა გუშარაშვილის თავურით პირველ ტურში ასევე სტუმრად, „ლოკომოტივთან“.

კიდევ ერთი გუნდი, რომელმაც სამი ქულა ბოლო წუთზე დასტყუა მეტოქეს, „ვიტ ჯორჯიაა“. ვეტერინარებმა მეორე ტურში დავით ლომაიას გოლით გორის „დილას“ მოუგეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| ასეთი იქნებოდა ცხრილი სადღეისოდ, რომ არა ბოლო წუთის გოლები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 9 | 0 | 1 | 26:3 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 1 | 2 | 15:7 | 22 |
| ზესტაფონი | 10 | 6 | 3 | 1 | 15:3 | 21 |
| ბორჯომი | 10 | 5 | 3 | 2 | 12:6 | 18 |
| ოლიმპი | 10 | 5 | 3 | 2 | 9:7 | 18 |
| ამერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:9 | 17 |
| მესხეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:11 | 17 |
| მგლები | 10 | 5 | 1 | 4 | 10:7 | 16 |
| სიონი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| სპარტაკი | 10 | 2 | 3 | 5 | 3:11 | 9 |
| ლოკომოტივი | 10 | 2 | 1 | 7 | 6:16 | 7 |
| მერანი | 10 | 2 | 1 | 7 | 5:19 | 7 |
| დილა | 10 | 1 | 3 | 6 | 7:17 | 6 |
| ბათუმი | 10 | 0 | 1 | 9 | 3:22 | 1 |

| ასეთია ცხრილი დღეს, ბოლო წუთის გოლების გათვალისწინებით | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 10 | 9 | 1 | 0 | 20:3 | 28 |
| დინამო | 10 | 9 | 0 | 1 | 26:3 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 1 | 2 | 16:8 | 22 |
| ამერი | 10 | 6 | 0 | 4 | 18:10 | 18 |
| ბორჯომი | 10 | 5 | 3 | 2 | 12:6 | 18 |
| მესხეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:11 | 17 |
| ოლიმპი | 10 | 5 | 2 | 3 | 9:8 | 17 |
| მგლები | 10 | 5 | 0 | 5 | 10:9 | 15 |
| სიონი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| ლოკომოტივი | 10 | 3 | 0 | 7 | 7:16 | 9 |
| სპარტაკი | 10 | 2 | 2 | 6 | 3:12 | 8 |
| მერანი | 10 | 2 | 0 | 8 | 5:20 | 6 |
| დილა | 10 | 1 | 2 | 7 | 7:18 | 5 |
| ბათუმი | 10 | 0 | 1 | 9 | 3:22 | 1 |

საქართველოს წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი სანდრო იაშვილი, გეხსომებათ, თბილისის „დინამოდან“ შვეიცარიულ „თუნში“ ზაფხულში გადავიდა. ახალი გუნდი, ახალი ჩემპიონატი, სხვა ქვეყანა — ცხადია, ჩვენიან ფორვარდს საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოსავლენად დრო სჭირდებოდა. შვეიცარიაში ახალჩასული ამბობდა, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში მას ადგილს არავინ დაახვედრებდა და სტაბილურად თამაშისთვის კიდევ უფრო ბევრი ვარჯიში მოუწევდა. სანდრო თავიდან „თუნის“ სათადარიგოებში იყო, შემდეგ შეცვლებზე თამაშობდა, ახლა კი ძირითადშია და წინა უქმეებზე „გრასჰოპერს“ გოლიც გაუტანა, რაც მისთვის შვეიცარიის ჩემპიონატში პირველი იყო...



# იაშვილი ახმახებთან ჩახმახია

## თუნს რწმენა და ქულები აკლია

— გოლი თავით გავიტანე — გვითხრა სანდრო იაშვილმა, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით — ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთისთვის ბრძოლა ერთბაშად სამ ახმახ მცველს მოვუგე და თავით შორეულ კუთხეში დავარტყი. მეკარე კი გაფრინდა, მაგრამ ბურთს ველარ შესწვდა. ლამაზი გოლი გამოვიდა და ტურის საუკეთესოებშიც მოხვდა.

— „გრასჰოპერთან“ და წინა მატჩშიც, „იანგ ბოისთან“, „თუნის“ ძირითად შემადგენლობაში იყავი. ჩავთვალოთ, რომ გუნდსა და ახალ გარემოს უკვე საბოლოოდ გაუშინაურდი?

— ასეა, ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ საუკეთესო ფორმაში ვარ და ძირითადში ადგილი დავიმკვიდრე. შვეიცარიაში ჩამოსვლის დღიდან გულმოდგინედ ვვარჯიშობ და ასევე ვაგრძელებ. დღესდღეობით ყველაფერი კარგადაა, გაცნობა-ადაპტაციის პერიოდი უკანაა. თავს ვატყობ, რომ დღითიდღე უკეთ ვთამაშობ და მომავალში კიდევ მეტს შევძლებ.

— მომავალ ტურშიც ძირითადში იქნები?

— მწვრთნელმა იცის... ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, „იანგ ბოისთან“ და „გრასჰოპერთან“ ნორმალურად ვითამაშე და მწვრთნელს უკმაყოფილების საბაბი არ უნდა ჰქონდეს. თანაც ვატყობ, რომ ამ კაცს ჩემი იმედი აქვს. მგონი, მომავალ ტურშიც ძირითადში ვიქნები და ვეცდები, კიდევ გავიტანო.

— „გრასჰოპერთან“ გატანილმა შენმა გოლმა კი „თუნს“ მაინც ვერ უშველა...

— ჩემი გოლით ანგარიში გავათანაბრეთ, მაგრამ მატჩის ბოლოსკენ ბავშვური შეცდომის გამო მეტოქემ ისევ გაგვიტანა. წასაგები მატჩი არ იყო, თუმცა, სამწუხაროდ, საჩვენო შედეგი ვერ მივიღეთ. ასე იყო დღესდღეობით შვეიცარიის ჩემპიონატის საუკეთესო „ციურიხთან“ შეხვედრისასაც, როცა ერეს დავეჯერდით და ასევე იყო სხვა რამდენიმე მატჩის დროსაც. მოკლედ, „თუნს“ სტაბილურობა და რწმენა აკლია, თითქოს არ გვჯერა, რომ მოგება შეგვიძლია. არადა, გუნდი კარგი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ჩვენთან თამაშობენ ფინეთისა და სენეგალის ნაკრების ფეხბურთელები, გვყავს შვეიცარიის ახალგაზრდული გუნდის სამი ფეხბურთელიც.

— გუნდი კი მაინც ბოლოსწინა ადგილზეა და შეიძლება ლიგიდანაც გავარდეს...

— არა, არ გავვარდებით, ნახევარი სეზონი ჯერ კიდევ წინაა და შედეგს გავაუმჯობესებთ. სატურნირო ცხრილშიც სიმჭიდროვეა, ერთი მოგებით შეიძლება პირდაპირ მეექვსე ადგილზე ავინაცვლოთ. ამ სეზონში „თუნი“ საპრიზო ადგილებისთვის ვერ იბრძოლებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მთლად ბოლოშიც არ ვიქნებით.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან არავინ შემოგხმიანებია?

— არა, მაგრამ იმედი მაქვს, მომავალში დამიკავშირდებიან. ძალიან მონდომებული ვარ, როგორც გითხარით, მალე ალბათ კიდევ უკეთ ავთამაშდები და ეროვნულ გუნდში იქნებ მერე მაინც გამომიძახონ. ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, ნაკრებში თამაში დავიმსახურო, დანარჩენი კი თავად იციან...

**კობა ინასარიძე**

# სანდრო თორმეტში არ არის!

*სანდროსთან ამ ინტერვიუს შემდეგ, წუხელ შვეიცარიაში დიდი სკანდალი გასკდა — „თუნის“ 12 ფეხბურთელი (ზოგი მოქმედი და ზოგი ყოფილი) ეჭვმიტანილნი არიან 15 წლის გოგონას ჯგუფურ გაუპატიურებაში. გამოძიება უკვე დაწყებულია და კლუბის პრეზიდენტმა კურტ ვედერმა, თუ ბრალი დამტკიცდა, დამნაშავეების უმკაცრესად დასჯა მოითხოვა.*

*ბუნებრივია, ამ ამბავმა ჩვენი ინტერესი გამოიწვია და კომენტარისთვის სანდროს მენეჯერ მალხაზ მუსერიძეს დავუკავშირდით: „ეს ამბავი მეც გავიგე, თუმცა ჩვენთვის საგანგაშო არაფერია: სანდრო არაფერ შუაშია. როგორც ამბობენ, გაუპატიურება შარშან მოხდა, მაშინ, როცა სანდროს „თუნთან“ არანაირი შეხება არ ჰქონდა. ის 12 ფეხბურთელი უკვე დაკითხეს. ახლა მთელ შვეიცარიაში ყველა ამ ამბავზე ლაპარაკობს...“*

**კახა შალამბერიძე**

# თვალ თვალი

*2007 წლის 16 ოქტომბერი. „შერატონ მეტეხი პალასი“. შოტლანდიასთან ევროშესარჩევ მატჩამდე ერთი დღით ადრე. არჩილ არველაძემ თავისი ტყუპისცალის, შოთას ყოფილი მწვრთნელი და ამჟამად სქოთთა ეროვნული გუნდის თავკაცი ალექს მაკლიში მოინახულა. შეხვედრა რამდენიმე წუთი გაგრძელდა... აი, ასეა, ძმა ძმისთვისაო — აბა, ახალნაოპერაციები შოთა ხომ იმ დროს ესპანეთში იყო და ვერაფრით მოახერხებდა ძველი დამრიგებლის ნახვას...*



# მუმუს აწყენინეს

## კობიაშვილმა სამარაში მეგობარს ჩააკითხა


კოკა ინასარიძის ფოტო

**რუსული** პრემიერლიგა დამთავრდა და დავით მუჯირის „კრილია“ ძლივს გადაურჩა პრემიერლიგიდან გავარდნას, თუმც თავად მუმუს ცუდი სეზონი არ ჰქონია — 9 გოლი გაიტანა. ამდენივე წლეულს „კრილიაში“ არავის მოგროვებია.

მგონი, არცთუ ხშირი შემთხვევაა, გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ნახევარმცველი რომ ხდება.

ამის მიუხედავად, „კრილიას“ პრეზიდენტს გუნდის საუკეთესო ლეგიონერებად მეტიუ ბუტი და სერჟ ბრანკო დაუსახელებია, რაზეც მუჯირი, ცოტა არ იყოს, ნაწყენია...

„შეგიძლიათ, ჩამოთვალოთ პრემიერლიგის ნახევარმცველები, რომლებმაც ჩემზე მეტი გოლი გაიტანეს? რატომღაც, ეს მეორე პლანზე გადაჰყავთ. კლუბის პრეზიდენტი დაცვის კარგ თამაშსაც აღნიშნავს, თუმც მგონი, ძალიან ბევრი გოლი გავუშვით. ბუტი და ბრანკო კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ რატომ მარტო ისინი?! ჩემი აზრით, ფეხბურთელების პერსონალურად გამორჩევა არ ღირს. კი, მესმის, რომ თვითკრიტიკული უნდა ვიყო, რადგან უკეთ შემიძლია თამაში, მაგრამ 9 გოლი გავიტანე და ეს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ვიზის პრობლემა მქონდა, ყოველთვის არ მაყენებდნენ შემადგენლობაში, ყოველთვის ვერ ვპოულობდი საერთო ენას მწვრთნელთან... და მაინც, მომდევნო სეზონში მეტის გაკეთებას შევეცდები. იმედია, „კრილიას“ უკეთ წაუვა თამაში“ — უთხრა მუჯირმა გაზეთ „სამარსკი ფუტბოლს“.

მუმუ ძალიან უყვართ სამარაში, თუმცა ქართველ ფეხბურთელს კრიტიკოსებიც ჰყავს. ზოგიერთმა სპეციალისტმა ისიც აღნიშნა, მუჯირს ერთი საგოლე პასიც კი არ გაუკეთებია ამ სეზონშიო.

რადგან მუმუს და „კრილიას“ ვეხებით, ლევან კობიაშვილის სამარაში სტუმრობაზეც ვთქვათ: საქართველოს ნაკრების და გერმანული „შალკეს“ ფეხბურთელი მუჯირს სტუმრობდა და რუსი ჟურნალისტები მასაც გაესაუბრნენ: „სტადიონი, გულშემატკივრები, ქალაქი, ბაზა — ყველაფერი მშვენიერია. აი, გერმანიაში ცნება „ბაზა“ თითქმის არ არსებობს. გვაქვს სტადიონი და სავარჯიშო მინდორი. აქ „კრილიას“ ფეხბურთელების გაცნობაც მოვასწარი. სამი დღე არც ისე დიდი დროა, სამარა მთლიანად დამეთვალიერებინა, მაგრამ რაც ვნახე, ძალიან მომეწონა. იმედია, კიდევ ჩამოვალ ამ ქალაქში, ოღონდ ასევე იმედია, ეს ჩემი ტრავმით გამოწვეული შვებულების გამო არ იქნება. მინდა, რომ „კრილიაც“ გავიდეს ევროტურნირებზე, აი, მაშინაც ჩამოვალ მხარდასაჭერად“.

**ილია ნანობაშვილი**

# ელიავას კიდევ ერთი თვე

**საქართველოს** ნაკრებისა და რიგის „სკონტოს“ მცველი ზაალ ელიავა კვლავ უქმობს.

ჩვენი ეროვნული გუნდი თბილისში უკრაინასთან ევროპის შესარჩევი მატჩისთვის ემზადებოდა, როცა მან ვარჯიშზე მხრის ტრავმა მიიღო და საოპერაციო გახდა. ოპერაცია 18 სექტემბერს გაუკეთეს და ახლა რეაბილიტაციის პროცესი მიდის.

ზაალს გუშინ რიგაში შევეხმიანეთ და აი, რა გვითხრა: „მხარი ნელ-ნელა მიშუშდება, თუმც სრულ გამოჯანმრთელებამდე ერთი თვე კიდევ დამჭირდება. ისე, ინდივიდუალურად უკვე ვვარჯიშობ, რა თქმა უნდა, იმდენს, რამდენის უფლებასაც ექიმები მაძლევენ“.



**ნუკრი ლოლაძე**

# მალხაზ ასათიანმა ცვლილებები გაარჩია

## ახალმა მთავარმა ეგებ პაჭელო დაიბრუნოს



**მოსკოვის** „ლოკომოტივში“ დიდი წმენდაა — გუნდი მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა და კლუბის პრეზიდენტმა იური სიომინმა დატოვეს. პრეზიდენტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რკინიგზელებს უკვე ახალი მწვრთნელი ჰყავთ — რინატ ბილიალეტდინოვი, რომელიც მანამდე „ლოკომოტივის“ დუბლიორებს წვრთნიდა.

„ლოკომოტივის“ ერთ-ერთ ლიდერ მალხაზ ასათიანს ბიშოვეცის გათავისუფლება არ გაჰკვირვებია. რამდენიმე დღის წინ ჩვენებურმა თავად თქვა, „ლოკომოტივს“ სეზონი აშკარად ჩაუვარდა და მთელი ყურადღება უეფას თასისკენ გვაქვს გადატანილიო.

გუშინ ასათიანმა კომენტარი უკვე მომხდარ ცვლილებაზეც გააკეთა:

„ბიშოვეცის გადადგომა ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. თავად განსაჯეთ, „ლოკომოტივმა“ ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა. მეტი არგუმენტი რა გინდათ? მაგრამ ყველაფრის მწვრთნელზე გადაბრალებაც არ შეიძლება. მართალია, შედეგზე პასუხს მწვრთნელი აგებს, მაგრამ მოედანზე ფეხბურთელები გადიან. პასუხისმგებლობას არ უნდა გავექცეთ. იური სიომინი კი ის ადამიანია, რომელმაც „ლოკომოტივს“ 15 წელი შეალია. ის ნაღდად იმსახურებდა ადგილს კლუბის ხელმძღვანელობაში. მისი წასვლა ნამდვილად გამიკვირდა. რაც შეეხება ბილიალეტდინოვის დანიშვნას, ამ მომენტისთვის, ვფიქრობ, იდეალური ვარიანტია“.

და ერთიც: თავის დროზე რინატ ბილიალეტდინოვის ხელშეწყობით „ლოკომოტივის“ დუბლებში ამჟამად „ზესტაფონში“ განათხოვრებული გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე აიყვანეს. „პაჭელო“ ბილიალეტდინოვის ფავორიტად ითვლებოდა და არ არის გამორიცხული, ჩვენებური იანვრიდან ისევ რუსულ კლუბში ვიხილოთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# დღეს ნიაზ ძიაპშიპა 80 წლის გახდებოდა

**ქართული** ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს სპორტის დამსახურებულ ოსტატს, აფხაზი ხალხის ღირსეულ შვილს, ნიაზ ალექსანდრეს ძე ძიაპშიპას, ვისაც დღეს 80 წელი შეუსრულდებოდა.

ის დაიბადა 1927 წლის 14 ნოემბერს აფხაზეთის კოლორიტულ ქალაქ ოჩამჩირეში. ფეხბურთის თამაში დაიწყო 1943 წელს ოჩამჩირის ჭაბუკთა გუნდში, 1945 წელს 18 წლისა ჩარიცხეს სოხუმის „დინამოში“. კარიერის უდიდესი ნაწილი მან ქართული ფეხბურთის ფლაგმან თბილისის „დინამოში“ გაატარა (1946-1958) და საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 178 მატჩში 2 გოლი გაიტანა. იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ვერცხლის (1951-53 წლები), ბრინჯაოს (1947, 1950 წლები) პრიზიორი და ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი (1956 წელი). 1948 წელს დასახელებული იყო სსრკ-ის ჩემპიონატის 33 საუკეთესოთა შორის. ფეხბურთელის კარიერის შემდეგ ძიაპშიპა ფეხბურთს თითქმის არ დაშორებია: მუშაობდა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელად (1969-70), გუნდის უფროსად (1976-77), სოხუმის „რიწის“ (1961) და სოხუმის „დინამოს“ (1962, 1979, 1984) მთავარ მწვრთნელად, თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის მწვრთნელად და მთავარ მწვრთნელად (1958-60), თბილისის შრომითი რეზერვების საფეხბურთო სკოლის (1963-65) მთავარ მწვრთნელად, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მწვრთნელად (1971-75), სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელად (1978). მიღებული აქვს „საპატიო ნიშნის“ ორდენი (1957).

ძიაპშიპას ხელმძღვანელობით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები 1958 წელს გახდა მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი...

აი, რას წერს ქართული სპორტის დიდი მოამაგე ზურაბ ჯავახაძე თავის წიგნში „აფხაზეთი — ქართული ფეხბურთის ფენომენი“:

„სპორტსმენის ბიოგრაფიაში არის თარიღები, რომელთა დავიწყება არ შეიძლება. ნიაზ ძიაპშიპას სპორტულ ცხოვრებაში ასეთ თარიღად 1953 წელი უნდა მივიჩნიოთ. იმ წელს თბილისის დინამოელებმა გამოცდილი მწვრთნელის მიხეილ იაკუშინის ხელმძღვანელობით, წარმატებით ითამაშეს და მთელი სეზონის მანძილზე გათამაშების ცხრილის სათავეში იდგნენ. დასკვნით მატჩში თბილისელებმა მოსკოვში ადგილობრივი „ტორპედო“ დაამარცხეს და ქვეყნის ჩემპიონობაც მოიპოვეს. ბიჭები ქვეყნის გამარჯვებას ზეიმობდნენ, საკავშირო მთავრობის საქმეში ჩარევის შედეგად კი ავტოქარხნელმა ფეხბურთელებმა მატჩი გააპროტესტეს და მოხდა გადათამაშება. მთავარი კი ის იყო, რომ წინასწარ შედგენილი სცენარით, „დინამო“ უნდა დამარცხებულიყო, ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ჯუმბერ რუხაძის ნაამბობი: თამაშის წინ გასახდელში შემოვიდნენ მთავრობის წარმომადგენლები და დაუფარავად გვითხრეს, სტალინი ცოცხალი აღარ არის, მფარველიც აღარ გყავთ, ეს მატჩი უნდა წააგოთ. ყველაფერი გასაგები იყო...“

წლების მანძილზე ბატონი ნიაზი მშობლიურ აფხაზეთში საქმიანობდა, დიდ ყურადღებას უთმობდა ფეხბურთელების ყოველდღიურ ცხოვრებას, მათ მეგობრულ ურთიერთობას და რაოდენ საწყენია, რომ მისმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო იმ უდიდეს ტკივილს, რომელიც ორი მოძმე, ქართველ და აფხაზ ხალხს შორის გარედან ინსპირირებულმა ომმა გამოიწვია, ცეცხლმოდებულ მშობლიურ აფხაზეთს გარიდებული თბილისში აღესრულა 1993 წლის 5 იანვარს, 65 წლისა.

ჩვენ გვჯერა, მისი მრავალი აღზრდილი და თანამემამულე მუდამ სიყვარულით გაიხსენებს ბატონ ნიაზს, როგორც დიდი ადამიანობის, ვაჟკაცობისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მაგალითს. დარწმუნებული ვართ, მისი ხსოვნის ტურნირებს და მოგონების საღამოებს ქართველები და აფხაზები ერთად მრავალჯერ ჩავატარებთ, როგორც თბილისში, ასევე აფხაზეთში...

**მურად ანჯაფარიძე**

*აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი*

# მანჩესტერულს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს!

**ალექს ფერგიუსონი** ამბობს, რომ განახლებული „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემყურეს ტანში ჟრუანტელი უვლის და თავს ახალგაზრდად გრძნობს. სხვა სიტყვებით, ყველას, ვინც უახლოეს მომავალში მისი ადგილის დაკავებას ფიქრობს, გეგმების შეცვლა მოუწევს.

მოგეხსენებათ, ბოლო, ვისაც „მანჩესტერის“ შესაძლო ახალ მწვრთნელად ასახელებდნენ, „ბლეკბერნის“ თავკაცი მარკ ჰიუზი გახლდათ — ეს ორი გუნდი „ოლდ ტრაფორდზე“ სწორედ ამ კვირას შეხვდა ერთმანეთს და მასპინძლება 2:0 მოიგეს.

ალექს ფერგიუსონი: „ყოველთვის, როდესაც ჩემი ყოფილი ფეხბურთელის გაწვრთნილ გუნდს ვეთამაშებით, გაზეთებში წერენ, რომ მან მე უნდა შემცვალოს. მინდა ყველას გასაგონად ვთქვა: მე ჯანმრთელად ვარ და სანამ თავს კარგად ვიგრძნობ, ჩემს საქმეს არ შევეშვები. ამ გუნდის თამაშის ცქერა საოცარ სიამოვნებას მანიჭებს. ბიჭები დიდი ენთუზიაზმით და ფანტაზიით თამაშობენ. ჩვენ გვყავს რამდენიმე ფეხბურთელი, რომელსაც თამაშის მოგება პირადად შეუძლია.“

როგორც იცით, სულ ცოტა ხნის წინ ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედში“ მუშაობის 21 წელი აღნიშნა. ყველაზე დიდი წარმატება კი მას 1999 წელს ჰქონდა, როდესაც მანჩესტერელებმა „ტრებლი“ მოიგეს — ინგლისის ჩემპიონებიც გახდნენ, ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელებიც და ჩემპიონთა ლიგაშიც ყველას აჯობეს. მაგრამ, 66 წლის ფერგიუსონი სხვანაირად ამბობს:

„ახლა რომ მყავს, ასეთი ძლიერი გუნდი არასდროს მყოლია. ახლანდელი „მანჩესტერ იუნაიტედი“ იმდენად ძლიერია, რომ მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო გუნდადაც კი შეიძლება დასახელდეს. ჩემი მიზანიც ეს გახლავთ. არ მიყვარს მოკლევადიანი წარმატებები. მინდა, ჩემმა ფეხბურთელებმა თანდათან შექმნან რაღაც ძალიან დიდი და მერწმუნეთ, ამ სეზონში სწორედ ამის მომსწრენი ვხდებით.“

ზემოთნახსენებ შეხვედრაში, მანჩესტერელთაგან „ბლეკბერნს“ ორივე გოლი კრიშტიანუ რონალდუმ გაუტანა.

ფერგიუსონი: „პირველი ტაიმი ნამდვილი სანახაობა იყო. თამაშის ბედი ორმა მომენტმა გადაწყვიტა — რონალდუს თავურმა და მალევე მიყოლებულმა მეორე გოლმა. ჩვენმა გუნდმა უმაღლესი დონის პროფესიონალიზმი გამოავლინა. ჩვენ ჩინებულად ვფლობდით ბურთს. ზედმეტ რისკზე ერთხელაც არ წავსულვართ და ორი გოლი ასე გავიტანეთ.“

გარდა ამისა, ფერგიუსონი კმაყოფილია, რომ მას ძირითადი შემადგენლობის შეცვლა თამაშის ხარისხის დაქვეითების გარეშე შეუძლია. აი, მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის მატჩში კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ, რომელიც მანჩესტერელებმა 4:0 მოიგეს, წინა მატჩთან შედარებით ექვსი ახალი ფეხბურთელი თამაშობდა.

თუმცა, ალექს ფერგიუსონი მხოლოდ ახალგაზრდათა თამაშის მანიითაც არ არის შეპყრობილი. ამის დასტური „იუნაიტედის“ ძირითადში 33 წლის რაიან გიგზისა და 32 წლის პოლ სქოულზის რეგულარული თამაში გახლავთ.



ალექს ფერგიუსონი

„ჩემი აზრით როგორც გიგზს ასევე სქოულზს 36 წლამდე შეუძლიათ კარგად თამაში — თქვა სქოთმა მწვრთნელმა — ეს მათი ცხოვრების სტილიდან გამომდინარეა შესაძლებელი. ფეხბურთის ვარსკვლავებისთვის ბევრი ცთუნება არსებობს, ამ ორმა კი ყველაფერს გაუძლო და ახალგაზრდობისთვის სამაგალითო კარიერა განვლო.“

მაშ ასე, ალექს ფერგიუსონი ამ სეზონში ახალი „ტრებლისთვის“ ემზადება და ცდილობს, ყველაფერი გათვალოს და გაითვალისწინოს, მათ შორის დაღლა და შესაძლო ტრავმებიც, რაც წინა სეზონში სერიოზულ დამაბრკოლებელ ფაქტორად ექცა. როგორ უნდა მიაღწიოს მწვრთნელმა ამას? როტაციით.

ოუენ ჰარგრივსი: „მწვრთნელს დიდი არჩევანი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ფეხბურთელს ყოველ შეხვედრაში თამაში არ მოგვიწევს. ამაზე განაწყენება არ შეიძლება, რადგან მოვლენებს მასშტაბურად უნდა შევხედოთ. კლუბი კლუბია და ცალკეულ მოთამაშეთა სურვილებს არ გადაყვება. საბედნიეროდ, ჩვენთან დიდი ამხანაგური სული ტრიალებს და ყველანი გუნდის ინტერესებს საკუთარზე მაღლა აყენებს.“

**პაპუნა ძედია**

# დიდი გუდბაი ინგლისს

**„დაივიწყეთ** ევრო 2008“ — აი, რა შეუთვალა ინგლისის ნაკრების მწვრთნელს სტივ მაკლარენს რუსმა ალექსანდრ კერჟაკოვმა. მოგეხსენებათ, ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის E ჯგუფში დიდი დაძაბულობაა, იმისათვის, რომ ინგლისი ევროპის პირველობაზე მოხვდეს, გარდა მისი საკუთარი წარმატებისა, საჭიროა ისრაელმა რუსეთს დააკარგინოს ქულები, რაზეც 24 წლის კერჟაკოვს თავისი შეხედულება აქვს:

„ინგლისი ევრო 2008-ზე ვერ მოხვდება, რადგან რუსეთი ისრაელში არაფერს დაკარგავს. ჩვენ იქ მოსაგებად მივდივართ და მოვიგებთ კიდეც. ინგლისელებთან შეხვედრის შემდეგ ისრაელთან თამაში ჩვენი ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესია. ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე ვოცნებობთ და დღეს, როდესაც ამ შეჯიბრების საზღვართან ვდგავართ, ჩავარდნა გამორიცხულია.“

მიმდინარე შეჯიბრების პირველ შეხვედრაში ისრაელმა რუსეთთან მოსკოვში 1:1 ითამაშა, თუმცა კერჟაკოვი ამტკიცებს, რომ ფრის გამეორება გამორიცხულია.

„რუსეთი ისრაელზე ძლიერი გუნდია — განაგრძობს კერჟაკოვი — მაშინ, მოსკოვში, მეტოქეს უბრალოდ გაუმართლა, ფრე რომ ითამაშა. ახლა შური უნდა ვიძიოთ. მოწინააღმდეგე თუნდაც ცამეტი კაცით იყოს, ჩვენ წაგების უფლება არ გვაქვს. ჩვენთვის ცხადია, რომ უნდა ვიბრძოლოთ.“

კერჟაკოვის სიტყვები თანამდებობიდან მოხსნის წინაშე მდგომ მაკლარენს, ბუნებრივია, გულზე მოხვდებოდა.

„დიდი ბოდიში ინგლისელებთან, მაგრამ მათ თავიანთი შანსი მოსკოვში გაუშვეს ხელიდან. ერთი სიტყვით, მათი ბოლო თამაში ხორვატებთან, ფაქტობრივად, ამხანაგური იქნება.“

ცნობისთვის: „ჩელსის“ რუსი მეპატრონე რომან აბრამოვიჩი და მწვრთნელი ავრაამ გრანტი ისრაელისა და რუსეთის შეხვედრას თვალს ტრიბუნიდან მიადევნებენ.

**პაპუნა ძედია**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XIII ტური

**რედინგი 1:3 არსენალი**

0:1 ფლამინი (44), 0:2 ადებაიორი (52), 0:3 გლები (78), 1:3 შორი (87)

რედინგი: ჰანემანი, მარტი, სონკო, ინგიმარსონი, შორი, კონვი (ოსტერი 70), გუნარსონი, ჰარპერი (ფაე 59), ჰანტი, კიტსონი, დოილი (ლონგი 83)

მწვრთნელი: სტივ კოპელი

არსენალი: ალმუნია, სანია, კ. ტურე, გალასი, კლიში, ებუე, ფაბრეგასი, ფლამინი, როსიცკი (ჰოლკოტი 83), გლები (ლ. დიარა 79), ადებაიორი (ბენდტნერი 83)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: გუნარსონი, ფაბრეგასი

მსაჯი: სტაილზი

24 024 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 12 | 9 | 3 | 0 | 27:10 | 30 |
| მანჩესტერი | 13 | 9 | 3 | 1 | 23:6 | 30 |
| სიტი | 13 | 8 | 2 | 3 | 16:13 | 26 |
| ჩელსი | 13 | 7 | 4 | 2 | 19:9 | 25 |
| ლივერპული | 12 | 6 | 6 | 0 | 19:6 | 24 |
| პორტსმუთი | 13 | 6 | 5 | 2 | 23:13 | 23 |
| ბლეკბერნი | 12 | 6 | 4 | 2 | 15:11 | 22 |
| ასტონ ვილა | 12 | 6 | 3 | 3 | 18:14 | 21 |
| ევერტონი | 13 | 6 | 2 | 5 | 19:15 | 20 |
| ვესტ ჰემი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:10 | 18 |
| ნიუკასლი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:18 | 18 |
| რედინგი | 13 | 4 | 1 | 8 | 16:29 | 13 |
| ფულემი | 13 | 2 | 6 | 5 | 16:20 | 12 |
| ტოტენჰემი | 13 | 2 | 5 | 6 | 23:24 | 11 |
| ბირმინგემი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:20 | 11 |
| სანდერლენდი | 13 | 2 | 4 | 7 | 13:22 | 10 |
| მიდლსბრო | 13 | 2 | 4 | 7 | 12:23 | 10 |
| ბოლტონი | 13 | 1 | 5 | 7 | 11:18 | 8 |
| უიგანი | 13 | 2 | 2 | 9 | 10:23 | 8 |
| დერბი | 13 | 1 | 3 | 9 | 5:31 | 6 |

### ჩემპიონატი. XVI ტური

**ძოვენთრი 0:4 ვესტ ბრომვიჩი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 16 | 11 | 3 | 2 | 29:18 | 36 |
| ვესტ ბრომვიჩი | 16 | 9 | 3 | 4 | 35:16 | 30 |
| ჩარლტონი | 16 | 8 | 4 | 4 | 22:15 | 28 |
| ბრისტოლი | 16 | 7 | 6 | 3 | 21:20 | 27 |
| ვულვზი | 16 | 7 | 5 | 4 | 18:15 | 26 |
| იფსვიჩი | 15 | 7 | 4 | 4 | 31:22 | 25 |
| პლიმუთი | 16 | 6 | 6 | 4 | 22:18 | 24 |
| ქოვენთრი | 16 | 7 | 3 | 6 | 20:24 | 24 |
| სტოკი | 16 | 6 | 5 | 5 | 22:22 | 23 |
| ბარნსლი | 16 | 6 | 5 | 5 | 20:22 | 23 |
| ჰალი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:17 | 22 |
| ბარნლი | 15 | 5 | 6 | 4 | 21:20 | 21 |
| უენსდი | 16 | 6 | 2 | 8 | 24:25 | 20 |
| შეფილდი | 16 | 5 | 5 | 6 | 21:22 | 20 |
| სკანთორპი | 16 | 5 | 5 | 6 | 18:20 | 20 |
| საუთჰემპტონი | 16 | 6 | 2 | 8 | 24:33 | 20 |
| ლესტერი | 15 | 3 | 8 | 4 | 14:12 | 17 |
| კოლჩესტერი | 16 | 3 | 8 | 5 | 27:27 | 17 |
| ბლეკპული | 15 | 3 | 7 | 5 | 18:21 | 16 |
| კარდიფი | 15 | 3 | 6 | 6 | 19:23 | 15 |
| პრესტონი | 16 | 3 | 6 | 7 | 15:20 | 15 |
| ქუინზ პარკი | 15 | 3 | 6 | 6 | 14:24 | 15 |
| კრ. პალასი | 16 | 2 | 8 | 6 | 16:20 | 14 |
| ნორვიჩი | 16 | 2 | 3 | 11 | 10:26 | 9 |

## ბელგია

### იუპილერლიგა. XIII ტური

**რუზელარე 4:3 მონსი**

0:1 ზოკო (16), 1:1 ტანგე (20), 2:1 ჟოზეფ-აგუსტინი (36), 2:2 სმიტსი (60ს.კ.), 2:3 კორდარო (73), 3:3 დისა (78), 4:3 აკგიული (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 13 | 9 | 3 | 1 | 21:11 | 30 |
| სტანდარდი | 13 | 8 | 5 | 0 | 28:10 | 29 |
| სერკლი | 13 | 7 | 3 | 3 | 27:13 | 24 |
| ანდერლეხტი | 13 | 6 | 5 | 2 | 19:13 | 23 |
| გენკი | 13 | 6 | 5 | 2 | 16:15 | 23 |
| მუსკრონი | 13 | 6 | 3 | 4 | 21:14 | 21 |
| ბევერსხოტი | 13 | 6 | 3 | 4 | 18:13 | 21 |
| გენტი | 13 | 5 | 5 | 3 | 26:16 | 20 |
| შარლერუა | 13 | 6 | 2 | 5 | 14:12 | 20 |
| ლოკერენი | 13 | 5 | 4 | 4 | 11:10 | 19 |
| ზულტეუარეგემი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:19 | 18 |
| რუზელარე | 13 | 4 | 5 | 4 | 16:24 | 17 |
| ვესტერლო | 13 | 4 | 3 | 6 | 15:13 | 15 |
| მოლენბეკი | 13 | 3 | 1 | 9 | 11:25 | 10 |
| მონსი | 13 | 2 | 3 | 8 | 15:23 | 9 |
| მეხელენი | 13 | 1 | 5 | 7 | 15:25 | 8 |
| სენტ ტრუიდენი | 13 | 2 | 1 | 10 | 10:26 | 7 |
| დენდერი | 13 | 1 | 3 | 9 | 8:26 | 6 |

## დანია

### სუპერლიგა. XVI ტური

**ვიბორგი 0:2 ორჰუსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 16 | 8 | 6 | 2 | 20:9 | 30 |
| ოლბორგი | 16 | 9 | 3 | 4 | 30:24 | 30 |
| მიდტიულანდი | 16 | 8 | 5 | 3 | 26:19 | 29 |
| ოდენსე | 16 | 6 | 9 | 1 | 23:10 | 27 |
| ჰორსენსი | 16 | 7 | 5 | 4 | 23:22 | 26 |
| რანდერსი | 16 | 7 | 4 | 5 | 23:11 | 25 |
| ნორდსიელანდი | 16 | 6 | 5 | 5 | 22:19 | 23 |
| ბრონდბიუ | 16 | 5 | 5 | 6 | 20:22 | 20 |
| ესბიერგი | 16 | 5 | 4 | 7 | 31:28 | 19 |
| ორჰუსი | 16 | 4 | 2 | 10 | 15:25 | 14 |
| ვიბორგი | 16 | 3 | 1 | 12 | 12:35 | 10 |
| ლიუნგბიუ | 16 | 2 | 3 | 11 | 13:34 | 9 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. XIII ტური

**სპარტა 3:1 ბოჰემიანსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 13 | 9 | 3 | 1 | 24:8 | 30 |
| სპარტა | 13 | 8 | 2 | 3 | 24:10 | 26 |
| ტეპლიცე | 13 | 8 | 2 | 3 | 21:11 | 26 |
| ბანიკი | 13 | 6 | 5 | 2 | 22:14 | 23 |
| პლზენი | 13 | 6 | 3 | 4 | 14:12 | 21 |
| ბრნო | 13 | 5 | 4 | 4 | 18:18 | 19 |
| ზლინი | 13 | 5 | 4 | 4 | 13:15 | 19 |
| სიგმა | 13 | 4 | 5 | 4 | 8:11 | 17 |
| ბოლესლავი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:15 | 16 |
| ლიბერეცი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:13 | 16 |
| ბუდეიოვიცე | 13 | 4 | 3 | 6 | 17:19 | 15 |
| ჟიჟკოვი | 13 | 3 | 4 | 6 | 18:25 | 13 |
| კლადნო | 13 | 3 | 3 | 7 | 18:26 | 12 |
| იაბლონეცი | 13 | 2 | 5 | 6 | 9:14 | 11 |
| ბოჰემიანსი | 13 | 2 | 4 | 7 | 7:17 | 10 |
| მოსტი | 13 | 1 | 5 | 7 | 17:29 | 8 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. XVI ტური

**გრენობლი 2:0 მონპელიე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე ავრი | 16 | 10 | 4 | 2 | 30:14 | 34 |
| ნანტი | 16 | 10 | 4 | 2 | 27:13 | 34 |
| გრენობლი | 16 | 8 | 5 | 3 | 21:13 | 29 |
| ბასტია | 16 | 8 | 4 | 4 | 25:17 | 28 |
| ტრუა | 16 | 6 | 8 | 2 | 23:16 | 26 |
| კლერმონი | 16 | 6 | 8 | 2 | 23:16 | 26 |
| ანჟერი | 16 | 6 | 5 | 5 | 18:17 | 23 |
| მონპელიე | 15 | 6 | 4 | 5 | 19:16 | 22 |
| ბრესტი | 16 | 6 | 4 | 6 | 15:17 | 22 |
| სედანი | 15 | 5 | 5 | 5 | 18:18 | 20 |
| აიაჩო | 16 | 5 | 5 | 6 | 17:19 | 20 |
| ბულონი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:23 | 20 |
| რეიმსი | 16 | 6 | 2 | 8 | 15:22 | 20 |
| შატორუ | 16 | 4 | 6 | 6 | 16:19 | 18 |
| ნიორი | 16 | 5 | 3 | 8 | 13:16 | 18 |
| დიჟონი | 16 | 4 | 6 | 6 | 12:22 | 18 |
| გენგამი | 16 | 3 | 5 | 8 | 14:19 | 14 |
| ამიენი | 16 | 3 | 5 | 8 | 14:22 | 14 |
| ლიბურნი | 16 | 3 | 3 | 10 | 21:33 | 12 |
| გენიონი | 16 | 2 | 5 | 9 | 16:25 | 11 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. X ტური

**ნასიონალი 0:2 მარიტიმუ**

0:1 მაკუკულა (26), 0:2 ვაინიო (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 10 | 8 | 2 | 0 | 18:4 | 26 |
| ბენფიკა | 10 | 6 | 4 | 0 | 19:5 | 22 |
| გიმარაეში | 10 | 5 | 4 | 1 | 12:8 | 19 |
| სეტუბალი | 10 | 4 | 6 | 0 | 18:10 | 18 |
| სპორტინგი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:8 | 18 |
| მარიტიმუ | 10 | 5 | 2 | 3 | 13:6 | 17 |
| ბრაგა | 10 | 4 | 2 | 4 | 11:11 | 14 |
| ბელენენსეში | 10 | 3 | 4 | 3 | 10:11 | 13 |
| ლეიშოეში | 10 | 1 | 7 | 2 | 10:11 | 10 |
| ნასიონალი | 10 | 2 | 4 | 4 | 7:10 | 10 |
| ამადორა | 10 | 1 | 6 | 3 | 11:13 | 9 |
| ნავალი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:18 | 9 |
| აკადემიკა | 10 | 1 | 5 | 4 | 8:15 | 8 |
| ფერეირა | 10 | 1 | 3 | 6 | 7:15 | 6 |
| ბოავიშტა | 10 | 0 | 6 | 4 | 7:18 | 6 |
| ლეირია | 10 | 0 | 3 | 7 | 5:16 | 3 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XIII ტური

**მიუნხენი 0:0 გლადბახი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლადბახი | 13 | 8 | 4 | 1 | 28:15 | 28 |
| ფრაიბურგი | 13 | 8 | 3 | 2 | 22:13 | 27 |
| მაინცი | 13 | 7 | 3 | 3 | 27:15 | 24 |
| მიუნხენი | 13 | 6 | 5 | 2 | 22:13 | 23 |
| ფიურტი | 13 | 6 | 5 | 2 | 19:13 | 23 |
| კიოლნი | 13 | 6 | 3 | 4 | 25:21 | 21 |
| ვეჰენი | 13 | 5 | 5 | 3 | 22:20 | 20 |
| ჰოფენჰაიმი | 13 | 5 | 5 | 3 | 19:17 | 20 |
| ალემანია | 13 | 5 | 4 | 4 | 20:17 | 19 |
| ზანკტ პაული | 13 | 5 | 2 | 6 | 14:18 | 17 |
| კობლენცი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:23 | 15 |
| ოსნაბრიუკი | 13 | 4 | 3 | 6 | 15:22 | 15 |
| ოფენბახი | 13 | 4 | 3 | 6 | 12:21 | 15 |
| აუე | 13 | 4 | 2 | 7 | 20:23 | 14 |
| ლაუტერნი | 13 | 2 | 5 | 6 | 10:13 | 11 |
| აუგსბურგი | 13 | 2 | 5 | 6 | 17:24 | 11 |
| კარლ ცაისი | 13 | 1 | 3 | 9 | 16:27 | 6 |
| პადერბორნი | 12 | 0 | 5 | 7 | 7:17 | 5 |

# ახალი ფაბულა სევილიაში

## ლუიშ ფაბიანო კარგად მიდის



„სევილიას“ ბრაზილიელი ფორვარდი ლუიშ ფაბიანო ამჟამად საუკეთესო ფორმაშია და მის ხელში ჩასაგდებად ევროპული გრანდები იბრძვიან, ხოლო ბრაზილიის ნაკრებში ლუიშს სულაც O FABULOSO ანუ „ზღაპრული“ შეარქვეს.

მისმა „სევილიამ“ „ვილიარეალთან“ კი წააგო, თუმცა ფაბიანოს „ელ მადრიგალი“ უგოლოდ არ დაუტოვებია. იგი ამჟამად ესპანური ლა ლიგის მეგოლეთა სიის ლიდერია 8 გოლით, რაც ბოლო ხუთ მატჩში მოინაგრა და „სევილიას“ ძველ მეგოლეს, ავსტრიელ ტონი პოლსტერს გაუტოლდა. ტონიმაც მიჯრით ხუთ ტურში შეძლო გატანა.

ანდალუსიური გუნდის ისტორიაში ისეთებიც იყვნენ, ზედიზედ 6 მატჩში რომ გაიტანეს. ანუ ლუიშ ფაბიანოს ერთი ნაბიჯილა აშორებს ძველჩაუქი სევილიელების, არსას, არაუხოსა და დიეგესის — რეკორდამდე

**ლადო ხომერიკი**

# ოქროს ბიჭუნა

**სერხიო აგერო** დეკემბერში მადრიდის „ატლეტიკოსა“ და არგენტინული ფეხბურთის გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ გაახარებს. მადრიდული „ასის“ ვერსიით, „კუნს“ იტალიური „ტუტოსპორტი“ წლის „გოლდენ ბოის“ ჯილდოს გადასცემს, ანუ აგერო ევროპულ კლუბებში მოთამაშე 21-წლამდელთაგან საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდება.

სერხიომ არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად მუნდიალი მოიგო და წლეულს „ათლეტთა“ გუნდში შესანიშნავი სტარტიც ჰქონდა. ეს იტალიაში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. იქაური გრანდები, „იუვენტუსი“ და „ინტერი“, აგეროს გადაბირებას ცდილობენ. ფეხბურთელის „ატლეტიკოდან“ გამოსასყიდი თანხა 36 მილიონი ევროა, მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობა კი აცხადებს, რომ ყოჩალი პატაგონიელის დაკარგვის არ ეშინიათ.

„გოლდენ ბოი“ („ოქროს ბიჭუნა“) ახალგაზრდა მობურთალთა „ოქროს ბურთის“ ტოლფას ჯილდოდ ითვლება. ჯერ სერხიო აგეროს წარმატება ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ, თუმცა უკვე ცნობილია, რომ „კუნმა“ ყველას (მათ შორის ბარსელონელ მესისაც) გადაასწრო და დეკემბერში ჯილდოს ჩაიხუტებს.

„ოქროს ბიჭუნა“ თავისი მნიშვნელობით „ტროფეო ბრავოს“ აღემატება. რომელსაც, ასევე საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელებს გადასცემენ, ოღონდ მხოლოდ ევროპელებს.

**ლადო ხომერიკი**

# რერაულიზაცია



„რეალში“ გამწვრთნელების მერე ბერნდ შუსტერის ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება რაულის წინ წაწევა ანუ თავდასხმაში მისთვის ჩვეული ადგილის დაბრუნება იყო. შედეგიც აგერ — პრიმერას მე-12 ტურისთვის გონსალეს ბლანკოს უკვე 6 გოლი აქვს გატანილი, რაც 2000-01 წლების სეზონის შემდეგ არ მომხდარა.

რაული „ბერნარდომდეც“ მოიერიშეებში იყო, თუმცა „საგოლე ალაგებს“ კლუბში რონალდოს ყოფნა აშორებდა. ახლა კი, გერმანელის წყალობით რაული ისევ რაული გახდა და გოლების გატანაც დაიწყო.

1998-99 წლების სეზონის მე-12 ტურისთვის რაულს 7 გოლი ჰქონდა გატანილი, ზემოთ 2000-2001 წლებიც ვახსენეთ და ორივე ჯერზე „რეალის“ ამჟამინდელმა კაპიტანმა საბოლოოდ პრიმერას მთავარმეგოლის ტიტული დაისაკუთრა.

აღსანიშნავია, რომ გონსალეს ბლანკომ წინა სეზონში 35 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 7 გოლი გაიტანა.

**ლადო ხომერიკი**

# რობინიო: ჩვენი მისია ბურთის მშვიდად გორება

**რობინიო ახლა ბრაზილიაშია და თავის ნაკრებთან ერთად მუნდიალის შესარჩევი მატჩისთვის ემზადება — 17 ნოემბერს ბრაზილიის ნაკრებს პერუსთან შეხვედრა ელის. იქამდე კი „რეალის“ ფორვარდმა „სანტიაგო ბერნაბეუს“ ინჩადა კიდევ ერთხელ მოხიბლა — „მალიორკასთან“ საპრიმერო შეხვედრაში მადრიდელთაგან ყველაზე უკეთ ითამაშა. სამშობლოში გამგზავრებამდე მოიერიშეს „ასის“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ.**



**— „მალიორკასთან“ მატჩის შემდეგ გამარჯვება ტელეფონით ბევრმა მოგილოცათ?**

— სიმართლე გითხრათ, თამაშის მერე ჩემი ტელეფონი არ გაჩუმებულა, ამდენი მესიჯი არასდროს მიმიღია.

**— ეს თქვენმა თამაშმა გამოიწვია. შეგიძლიათ თქმა, რომ 11 ნოემბერს „რეალში“ თქვენი საუკეთესო მატჩი ჩაატარეთ?**

— ასე არ ვფიქრობ. ყოველთვის, როცა კარგად ვითამაშებ, მაშინვე ამბობენ, რომ ეს ჩემი საუკეთესო მადრიდული მატჩი იყო. „ოლიმპიაკოსთან“ თამაშის შემდეგაც ასე მოხდა. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ „მალიორკასთან“ ძალიან ემოციური საღამო მქონდა.

**— ისეთივე ემოციური, როგორც „კადისთან“ თქვენი დებიუტისას?**

— შედარება შეიძლება, თუმცა მაშინდელი ემოცია ცოტა ხანს გაგრძელდა.

**— მაშინაც პელეს შეგადარეს და ახლაც...**

— ყოველთვის ვამბობდი, რომ პელე პელეა, რობინიო კი — რობინიო. ჯერაც ბევრი მაქვს სამუშაო.

**— ბრაზილიაში ბოლო ვიზიტის შემდეგ თქვენი სათამაშო სტილის შეცვლაზე რას გვეტყვით?**

— სამუშაო იგივეა, რაც ადრე, მეც იგივე რობინიო ვარ, თუმცა ახლა უფრო თავდაჯერებული ვარ. ზედიზედ სამი მატჩი ერთნაირად მაღალ დონეზე ჩავატარე და ჩემი უმთავრესი მიზანიც ხომ სტაბილურობის მიღწევაა. ადრე, გასულ სეზონში, ერთ მატჩს კარგად ვთამაშობდი და მომდევნო ორს — ცუდად. მსურს, მაღალ დონეზე სტაბილურად ვიბურთაო.

**— რა როლი მიუძღვის ბერნდ შუსტერს თქვენს ასეთ ცვლილებაში?**

— მწვრთნელმა კარგად გამიგო. ჩემთან გულახდილი საუბრისას თავი არ აურიდებია და საჭირო რჩევებიც მომცა — ფეხბურთელობისას შუსტერმა მსგავსი სიტუაცია ხომ საკუთარ თავზე გამოსცადა. მწვრთნელმა მთხოვა, უფრო სტაბილური ვყოფილიყავი და საქმისთვის მეტი ყურადღება მიმექცია. მე კი ვიფიქრე, რომ დიდი შანსის წინაშე ვიდექი.

**— ამ შანსს მშვენივრად იყენებთ...**

— რაც მადრიდში მოვედი, სულ სირთულეებს ვაწყდებოდი, ახლა კი მოედანზე თავს მშვენივრად ვგრძნობ და ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. მეტოქის მცველებთან ფინტებს გაორმაგებული ენერგიით ვაკეთებ, თუმცა არც ის მავიწყდება, რომ საჭირო დროს უკან უნდა დავიხიო და ჩემს გუნდს დაცვაშიც მივეხმარო.

**— რაზე გესაუბრათ შუსტერი, როცა „მალიორკასთან“ მატჩის მსვლელობისას შეგცვალათ?**

— მომილოცა და მითხრა, რომ ამ გზით უნდა ვიარო. სხვა არაფერი...

მზად ვარ, შუსტერის მითითება შევასრულო და ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშო. მე პროფესიონალი ვარ და იმას გავაკეთებ, რაც კონკრეტულ მომენტში გუნდს სჭირდება, თუმცა „სანტოსში“ ყველაზე უკეთ თავს მარცხენა ფლანგზე ვგრძნობდი. მარცხენა მხრიდან მოედანს ვაკონტროლებ და შემიძლია, თამაში მოპირდაპირე ფლანგზეც გადავიტანო. როდესაც თავდიანვე მარჯვენა ფლანგს მაბარებენ, ამას ნაკლებად ვახერხებ.

**— „მალიორკასთან“ მატჩზე ვისაუბროთ. გაგიკვირდათ, როცა გოლი თავით შეაგდეთ?**

— თავით გოლების გატანა ჩემი სუსტი წერტილი იყო. გასულ სეზონში დამატებაზე გოლების შეგდებაზე ვვარჯიშობდი, მაგრამ არა თავით. ბერნდ შუსტერის თანაშემწემ მანოლო რუისმა მთხოვა, ამ კომპონენტისთვის ყურადღება მიმექცია და „მალიორკასთან“ შეგდებულ გოლსაც მას ვუძღვნი.

**— მანოლო რუისთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— საქმეზე ხშირად ვსაუბრობთ, რისთვისაც მინდა, მადლობა ვუთხრა. მანოლოსგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ და ასევე ბევრ რჩევას ვისმენ. სულ მეუბნება, რომ მეტოქის საჯარიმოში უფრო „ეგოისტი“ უნდა ვიყო...

**— რა გაიფიქრეთ, როცა შუსტერმა თქვენი შეცვლა გადაწყვიტა და სრულიად „ბერნაბეუმ“ ფეხზე წამომდგარმა აპლოდისმენტებით დაგაჯილდოვათ?**

— ძალიან ბედნიერი ვიყავი. როცა ფეხზე წამომდგარი ფანობა შევნიშნე, საოცარი გრძნობა გამიჩნდა, საოცრად ავღელდი. ასეთი რამ არასოდეს განმიცდია. ინჩასთა მადლიერი ვარ ამისთვის. იმედია, გულშემატკივარს კიდევ მრავალჯერ მივანიჭებ სიხარულს და ერთად უამრავ ჯილდოსაც მოვიგებთ.

**— ალბათ ეს გაკლდათ მადრიდში... გინდოდათ, ხალხისგან იგივე სითბო მიგეღოთ, რასაც ბრაზილიაში შეჩვეული იყავით...**

— ხალხის სითბო და პატივისცემა უნდა დაიმსახურო და მეც ამისთვის ვმუშაობ. როცა ბრაზილიაში გუნდი იგებს, გულშემატკივრები სიხარულისგან მეცხრე ცაზე არიან, თუმცა დამარცხების შემთხვევაში თავს დაუნდობელი კრიტიკა გვატყდება.

**— კრიტიკოსები არც მადრიდში გაკლიათ...**

— თამაშის ჩემეულ სტილზე უარი არასდროს მითქვამს, მაშინაც კი, როცა საქმე კარგად არ მიმდიოდა. დღეს თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მშვიდად ვარ და მოედანზეც გამარჯვების იმგვარი წყურვილით გამოვდივარ, როგორც ბრაზილიის ნაკრების თამაშების დროს.

**— ღვთის გულისთვის, ბრაზილიიდან უკან დასაბრუნებელი ბილეთი დაჯავშნული გაქვთ? წინა ჩამოსვლაზე თქვენს დაგვიანებას იმხელა აჟიოტაჟი მოჰყვა, რომ მადრიდში, მგონი, მარტო ამაზე საუბრობდნენ...**

— პრობლემა არაა, ამჯერად ყველაფერი წესის და რიგის დაცვით მოხდება. ბრაზილიაში მშვიდად მოვდივარ და მინდა, მადრიდში, რაც შეიძლება, მალე დავბრუნდე.

**— კარგად თამაშობთ და, ბუნებრივია, „რეალში“ თქვენი წილი პასუხისმგებლობა იზრდება...**

— არც „რეალში“ და არც ბრაზილიის ნაკრებში პასუხისმგებლობისა არ მეშინია. მოედანზე საქმის საკეთებლად და ფეხბურთით სიამოვნების მიღებისთვის გამოვდივარ.

**— როგორ ფიქრობთ, ამ სეზონში მადრიდის „რეალს“ რის მიღწევა შეუძლია?**

— ასე თამაშს თუ გავაგრძელებთ, პრიმერა დივიზიონსაც მოვიგებთ და ჩემპიონთა ლიგასაც. დღეს ფეხბურთით ყველა ვერთობით და ჩვენი მისიაც ბურთის უფრო მშვიდად გორებაა. წარმატების იმედი მაქვს, თუმცა არც მეტოქეები იტყვიან ბრძოლაზე უარს.

**— „რეალის“ მარცხენა ფლანგს თქვენი და მარსელოს სახით უკვე საიმედო პატრონები ჰყავს?**

— ორივე ძალიან ახალგაზრდა ვართ და კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. თუმც მოედანზე ერთმანეთს უკვე მშვენივრად ვუგებთ, „მალიორკასთან“ კარგი კომბინაციები გავათამაშეთ.

**ლადო ხომერიკი**

# რისთვის სჭირდება იუვეს?



**კვირას** „ენიო ტარდინიზე“ სამი ქულისთვის ჩასულ „იუვენტუსს“ ძალიან გაუჭირდა და ისე გამოვიდა, რომ ტურინელებმა ქულა მოიპოვეს, ისიც დიდი გაჭირვებით, „პარმამ“ კი ორი დაკარგა.

„ბებერი ქალბატონი“ 75-ე წუთამდე 0:2 აგებდა და თამაში ბოლოსდა გადაარჩინა. ეს დიდწილად ტურინელთა მთავარ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის ჭკვიანური და დროული ცვლილებების დამსახურებაა.

შეგახსენებთ, რომ წინა ზაფხულს იგი „იუვეში“ სწორედ „პარმადან“ მივიდა.

„მატჩის დაწყებამდე უცნაური ვითარება იყო. რასაკვირველია, გაბრიელე სანდრის გარდაცვალებამ ყველა შეგვძრა. ვისხედით და ვფიქრობდით, მინდორზე სათამაშოდ გავსულიყავით თუ არა. თუმცა, რადგან გადაწყდა, რომ მატჩები უნდა ჩატარებულიყო, მიუხედავად უდიდესი ტრაგედიისა, წესის დაცვის გარდა სხვა გზა აღარ გვრჩებოდა. „პარმამ“ ჩინებულად ითამაშა და დიდი ხანი გვჯობდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მოგვიანებით გამოვიღვიძეთ და ლამის მოვიგეთ კიდეც. ძალიან მძიმე სანახავი იყო „იუვე“, რომელიც 0:2-ს აგებდა და მეტოქის დაცვას სერიოზულად ვერც აწუხებდა. ტიაგუ მენდეშის, ჰასან სალიჰამიჯიჩის და ვინჩენცო იაკინტას მინდორზე გასვლამ გამოგვაცოცხლა“ — თქვა რანიერიმ.

„იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი კი კვლავ მსაჯებმა გააბრაზეს და არცთუ უსაფუძვლოდ. პირველი ტაიმის მიწურულს მის კარში საკამათო პენალტი დაინიშნა, რომლის წყალობითაც მასპინძლები დაწინაურდნენ. მატჩის ბოლოს კი იაკინტას, ასევე სადავო ეპიზოდში, გოლი არ ჩაუთვალეს.

„მორიგი, ძალიან საეჭვო პენალტი დაგვინიშნეს. ასე კი ძნელია, ჩემპიონობაზე ან რამე სერიოზულზე იფიქრო. სერია B-ში დაგვაქვეითეს და ორი სკუდეტო წაგვართვეს, მაგრამ, გაუგებარი მიზეზებით, ჩვენს დასჯას ისევ აგრძელებენ. როცა მსაჯი თერთმეტმეტრიანს ნიშნავს, თავის სამართლიანობაში დარწმუნებული უნდა იყოს. არბიტრებზე მხოლოდ მაშინ ვლაპარაკობ, როცა ისინი აშკარად ცდებიან. ასე მოხდა „ნაპოლისთან“ შეხვედრაშიც“ — აღნიშნა ბუფონმა.

„პარმას“ მწვრთნელი დომენიკო დი კარლო: „ორივე გუნდმა კარგად ითამაშა. როცა „იუვე“ ზეწოლას ახდენს, ამ წნეხის ატანა საოცრად ძნელია. თუმცა ცოტა მეტად რომ გაგვემართლებოდა, სამ ქულას მოვიპოვებდით. პროგრამა-მინიმუმი, ანუ კარგი თამაში და ქულის აღება, მაინც შევასრულეთ.“

**გიორგი ქაქაბაძე**

# სიენამ ძველი იარაღი დაიბრუნა

**როგორც** მოსალოდნელი იყო, ანდრეა მანდორლინი „სიენას“ მთავარი მწვრთნელობიდან დაითხოვეს. კლუბის ხელმძღვანელობისთვის ბოლო წვეთი კვირას ერთ-ერთ აუტსაიდერთან, „ლივორნოსთან“ ტოსკანურ დერბიში საშინაო მარცხი გახლდათ. მანდორლინი მარიო ბერეტამ შეცვალა.

ცოტა მოგვიანებით დაითხოვეს „კალიარის“ თავკაცი მარკო ჯამპაოლოც. „სიენასი“ არ იყოს, სარდინიელთა საქმეებიც აირია...

„სიენამ“ სეზონი წარუმატებლად დაიწყო და ახლა 9 ქულით მე-16-მე-20 ადგილებს ინაწილებს „კალიარისთან“, „რეჯინასთან“, „ლივორნოსთან“ და „ემპოლისთან“ ერთად.

ორშაბათს ტოსკანელთა გენერალურმა მენეჯერმა ჯოვანი ლომბარდიმ კი თქვა, მანდორლინის კვლავ ვენდობითო, მაგრამ მოგვიანებით გავრცელდა ცნობა მისი მოხსნის შესახებ.

„დიდი მადლობა მანდორლინის გაწეული სამუშაოსთვის და ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებთ. ამიერიდან კი კლუბს მარიო ბერეტა გაწვრთნის“ — ნათქვამია „სიენას“ ოფიციალურ განცხადებაში.

ბერეტა „სიენას“ წინა სეზონშიც თავკაცობდა და გუნდს სერია A-ში ადგილი ბოლო ტურში შეუნარჩუნა, თუმცა რამდენიმე დღეში პოსტის დატოვება გადაწყვიტა.

რაც შეეხება „კალიარიდან“ გაშვებულ ჯამპაოლოს, მისი შემცვლელის ვინაობა ჯერ უცნობია. ამბობენ, მთავარი კანდიდატი ნედო სონეტიაო. დროებით კი სარდინიელებს ფაბიო მიკარელი გაუძღვება.

**კოკი კანდელაკი**

# მე ვარ და ჩემი ბიჭები

## მოგებულიც კმაყოფილია და წაგებულიც

**გასულ** უქმეებზე სერია A-ში გამართული 7 მატჩიდან მთავარი ამბავი, ცხადია, „ფიორენტინას“ საშინაო მარცხი (1:2) იყო „უდინეზესთან“.

ფლორენციელებს სერია A-ში გამართული ბოლო 29 მატჩიდან მხოლოდ ერთი წაეგოთ, ხოლო საშინაო მატჩებში სულაც წელიწადზე მეტხანს დაუმარცხებელნი იყვნენ.

„უდინეზეს“ კი ამ მოგებით უკვე 22 ქულა მოუგროვდა და ლიდერებში ტრიალებს.

„ჩემმა შეგირდებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. ყველა გუნდისთვის და სასარგებლოდ მოქმედებდა. საფრთხის წინაშე ალბათ მხოლოდ მაშინ ვიყავით, რიკარდო მონტოლივოს დარტყმა ხარიხას რომ მოხვდა. საბოლოოდ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მივაღწიეთ და ამით ვამაყობთ. ფლორენციიდან სამი ქულის წაღება ძალიან ძნელია. არაერთხელ მითქვამს ახალგაზრდული და წარმატებას მოწყურებული გუნდი გვყავს და ვეცდებით, წინსვლა განვაგრძოთ“ — თქვა უდინელთა მწვრთნელმა პასკუალე მარინომ.



„ფიორენტინას“ თავკაცი ჩეზარე პრანდელი: „მეტოქეს ჩვენთვის არაფერი წაურთმევია. მთლად კარგად ვერ ვითამაშეთ და ამ მარცხს უნდა შევეგუოთ. ვფიქრობ, მხოლოდ ნახევარ წელიწადში ერთხელ რომ წავაგოთ ხოლმე, უკმაყოფილო ბევრი არავინ დაგვრჩება. ფაქტია, ცოტა არ გაგვიმართლა კიდეც და ტრავმებმაც შეგვიშალა ხელი.“

**კოკი კანდელაკი**



# გაუბედურდა სამი ოჯახი: მოკლულის, მკვლელის და იტალიური ფეხბურთის

## ბრმა ტყვიამ ყველას თვალები აუხილა

**ჯერჯერობით** უცნობია, როგორ გაგრძელდება იტალიაში საფეხბურთო ცხოვრება „ლაციოს“ ქომაგის გაბრიელე სანდრის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ. იტალიური ფეხბურთის მამები ჩიხში არიან და გამოსავალს ეძებენ.

ერთადერთი, რაც ნამდვილად ცნობილია, არის ის, რომ მომავალ უქმეებზე გასამართი სერია B-სა და C-ს მატჩები არ ჩატარდება. ეს იტალიის მწვრთნელთა ასოციაციის თავმჯდომარემ რენცო ულივიერიმ დაადასტურა. სერია A-ში კი შაბათ-კვირას ტური ისედაც არ იყო — ნაკრების თამაშის გამო.

ამასობაში, „კორიერე დელა სერას“ ესაუბრა 31 წლის პოლიციელი ლუიჯი (გვარი არ ხმაურდება), რომლის ბრმა ტყვიამაც იმსხვერპლა სანდრი.

„მისთვის ნამდვილად არ დამიმიზნებია, ან როგორ დავუმიზნებდი, სულ მცირე, 200 მეტრის მოშორებით ვიყავი. პირველად ჰაერში გამაფრთხილებელი გავისროლე, მეორე ტყვია კი შემთხვევით გავარდა, როცა მივრბოდი. დამნაშავეებს ხშირად მივდევდით იარაღით ხელში. განადგურებული ვარ, ორი ოჯახი გავაუბედურე — გარდაცვლილის და ჩემი“ — განაცხადა პოლიციელმა.

როგორც ირკვევა, მისი საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ იარაღი ბუდეში აღარ დააბრუნა და ისე გაიქცა.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯანკარლო აბეტე: „ვერ გეტყვით, რომ 25 იანვარს საფეხბურთო მატჩები ისევ გაიმართება. საერთოდ, ახლა ვარაუდები სარისკო და ძნელია, ამიტომ ზედმეტი კომენტარებისგან თავს შევიკავებ. ყველაფერზე საფუძვლიანად ვიმსჯელებთ. ფაქტია ისიც, რომ ხალხისთვის სტადიონზე მისვლის აკრძალვა გამოსავალი არ არის. ახლა მთავარია, ადამიანების უსაფრთხოებაზე ვიზრუნოთ“.

აპენინებზე აზრი ორადაა გაყოფილი — ერთნი ჩემპიონატის რაც შეიძლება მალე განახლებას ითხოვენ, მეორენი კი — მოცდა-შესვენებას. მეორე ვარიანტის მომხრეთა შორის არის იტალიის სპორტის მინისტრი ჯოვანა მელანდრი და „ჯენოას“ პრეზიდენტი ენრიკო პრეციოზი.

„საფეხბურთო ცხოვრება რამდენიმე კვირით უნდა შეწყდეს, რათა პატივი მივაგოთ გარდაცვლილის ხსოვნას და დაძაბული ვითარება განვმუხტოთ. სამუშაო ნამდვილად ბევრი გვაქვს, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება“ — თქვა მელანდრიმ.

ენრიკო პრეციოზი: „ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამგვარი ფაქტები შეიძლება ყოველდღე მოხდეს. ამიტომ, ერთხელ და სამუდამოდ ვითარების გამოსწორებაზე სერიოზული ფიქრი და მუშაობა გვმართებს. ქცევის წესებსა და უსაფრთხოების ზომებს თითქოს მკაცრად ვიცავთ, მაგრამ მათ ბოლომდე მაინც არავინ იცავს. ამიტომ ჩემპიონატი ორი-სამი თვით უნდა შევწყვიტოთ და პრობლემები მაქსიმალურად მოვაგვაროთ. ქომაგების სტადიონებიდან მოკვეთა გამოსავალი არ არის. რა დააშავეს წესიერმა გულშემატკივრებმა, რომლებსაც თავიანთი კლუბების როგორც საშინაო, ისე საგარეო მატჩებზე სიარული უნდათ? სხვების მაგივრად ეს ხალხი არ უნდა დაისაჯოს“.

„მილანის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი კაკა: „იტალიურ ფეხბურთს სახელი უფუჭდება, ის საშიში ხდება. რამე უნდა ვილონოთ და ვითარება შევცვალოთ, თორემ მოთამაშეები სერია A-ს ერთმანეთის მიყოლებით დატოვებენ. ჯერ პოლიციელი მოკლეს, ახლა ფანი... ასე გაგრძელება აღარ შეიძლება“.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მიშელ პლატინის მარცხი



**ქვემოთ** BBC-ს ჟურნალისტის მაჰირ ბოუსის წერილს გთავაზობთ. ბატონი ბოუსი ამ დღეებში ნიონში, უეფას შტაბბინაში გახლდათ და მიშელ პლატინის ბობოლა კლუბებთან „ჭიდილს" აკვირდებოდა. ჟურნალისტს მიაჩნია, რომ რეფორმათა მოსურნე პლატინიმ ბრძოლა წააგო, თუმცა ჩემპიონთა ლიგის ფორმატში რაღაც ცვლილებები მაინც შეატანინა.

რევოლუციას ხშირად მოულოდნელი შედეგი მოსდევს. როგორც ჩანს, რაღაც ამგვარი დაემართა მიშელ პლატინის დიად იდეას ჩემპიონთა ლიგის გადაკეთებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგის ბობოლა გუნდებს ძალაუფლება შეეკვეცა, უეფას პრეზიდენტმა ისინი გააძლიერა. დიახ, მან რაღაც ცვლილებები ჩაატარა, მაგრამ ამ ცვლილებებში დაპირებული რევოლუცია ნამდვილად არ იგრძნობოდა.

შარშან ამ დროს, უეფას პრეზიდენტობისთვის რომ იბრძოდა, მან მითხრა, რომ არ მოსწონს არსებული წესი, რომლის თანახმადაც დიდ ქვეყნებს ლიგაში ბევრი გუნდი გამოჰყავთ — იმ წელიწადს, როდესაც ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულმა" გაიმარჯვა, ინგლისიდან ამ შეჯიბრებაში ხუთი გუნდი მონაწილეობდა. გავიდა წელიწადი და ვხედავთ, რომ ეს სურათი არათუ გამოიცვალა, არამედ ბევრი პატარა ქვეყნის გუნდი ჩემპიონთა ლიგაში საერთოდ ვერ მოხვდა.

წინადადება, რომელიც პლატინიმ თავიდან წამოაყენა, ასეთი გახლდათ: ექვსი შედარებით მცირე ევროპული ლიგის ჩემპიონი ლიგის ჯგუფში ავტომატურად უნდა მოხვედრილიყო. გარდა ამისა რომანტიკოს რევოლუციონერს სურდა, თასის მფლობელებსაც ლიგის გათამაშებაში მიეღოთ მონაწილეობა — თექვსმეტი თასის მფლობელი ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირზე ინგლისის, იტალიისა და ესპანეთის მეოთხე და სხვათა მესამე გუნდების ნაცვლად უნდა გასულიყო, მაგრამ ეს იდეები დიდმა ქვეყნებმა და ბობოლა კლუბებმა საშინელებად მიიჩნიეს. მათი ღრმა რწმენით, უეფა ღლენიადაგ არასწორი მოსაზრებების განხორციელებას ცდილობს. აი, რა მითხრა ერთმა დიდმოხელემ:

„უეფას უბედურება ის არის, რომ მას შეჯიბრების წარმართვა არ სურს, ის ევროპული ფეხბურთის მართვაზე ოცნებობს".

გეხსომებათ, 1998 წელს ბობოლა კლუბებმა არსებული სტრუქტურიდან გასვლა სცადეს და ისეთი ქაოსი გამოიწვიეს, რომ უეფამ ჩემპიონთა ლიგის ფორმატი შეცვალა — შეჯიბრება დღემდე ამ, სახეცვლილი ფორმატით ტარდება — თუმცა მას მერე ერთი ნაბიჯი უეფამაც გადადგა და მეორე ჯგუფური ეტაპი გააუქმა.

ამჯერად პლატინიმ ბობოლების გვერდით ჩაწევა სცადა. თავიდან მოთაფლვით დაიწყო: დღევანდელი წესით, დიდი ოთხეულის მესამე და მეოთხე გუნდები ლიგის ჯგუფში საკვალიფიკაციო ეტაპის გავლით ხვდებიან. პლატინიმ ამ ქვეყნებს მესამეთა პირდაპირ ჯგუფში დასმა შესთავაზა, რადგან ფიქრობდა, რომ ასე [illegible] ბდა. გარდა ამისა, უეფას პრეზიდენტმა ამ ქვეყნებს ევროპის სტრატეგიული საბჭოს შექმნა შესთავაზა. ამ საბჭოში ფეხბურთელები, ლიგები და თავად უეფა უნდა გაერთიანებულიყვნენ, მაგრამ ბობოლებმა ამ წინადადებებიდან რაც მოეწონათ მიიღეს, ხოლო რაც არ ეპიტნავათ, ცივად უარყვეს. კერძოდ, თასის მფლობელთა ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე უარი თქვეს, მესამეს ავტომატურად ჯგუფში დაშვება კი მოეწონათ. პლატინის მხოლოდ ექვსი ახალი ქვეყნის ჩემპიონის პირდაპირი მონაწილეობა დაუთმეს, რამაც, მაგალითად, შოტლანდია გაახარა. ერთი სიტყვით, დიდი ქვეყნების მეოთხე გუნდები ერთვის მაგივრად ორ საკვალიფიკაციო რაუნდს გაივლიან, მაგრამ ეს უეფასთვის დიდი შეღავათი ვერ იქნება.

განსაკუთრებით გამოიცა ამ გადაწყვეტილებათა საზოგადოებისთვის წარდგენის ფორმამ. ნიონში ჩასულს მეგონა, რომ საბჭოს სხდომის შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართებოდა, მაგრამ ხუთი საათი რომ დადგა ყველამ ქუდი დაიხურა და უკომენტაროდ დატოვა უეფას შტაბბინა.

ერთადერთი, უეფამ თავისი გენერალური დირექტორი დევიდ ტეილორი გამოაჩინა, რომელმაც თქვა, რომ პროგრესი თვალნათლივ ჩანს, ოღონდ კონკრეტული არაფერი დაუმატებია. ასეთი ქცევის მიზეზი ნათელია: პლატინიმ წააგო და გულჩათხრობილმა თავისი წარმომადგენელი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა.

დღეს მიღებულ ცვლილებებს აღმასკომი დეკემბერში, ლუცერნში, ევრო 2008-ის კენჭისყრაზე დაამტკიცებს.

**ბაკუნა ძედია**



# ზლატანს ოქრო შხდება

**შვედეთის** წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული ჯილდო „ოქროს ბურთი" ზლატან იბრაჰიმოვიჩს ერგო. „ინტერის" 26 წლის თავდამსხმელმა ეს პრიზი მეორედ დაისაკუთრა, პირველად კი 2005-ში „მოოქროვდა". „ძალიან მეამაყება, რომ მეორედ გავხდი ამ პრიზის მფლობელი — თქვა „იბრაკადაბრამ" — ეს აღიარება მხოლოდ მე კი არა, ჩემს შვედ ფანებს, განსაკუთრებით ბავშვებს ეკუთვნით". ორი წელია, იბრაჰიმოვიჩს სანაკრებო გოლი არ გაუტანია, მაგრამ წინა სეზონში „ინტერში" ჩემპიონი გახდა და 15 გოლი მიითვალა. ამ სეზონში კი სერია A-ში შვიდი, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ოთხი შეაგდო.

შვედი ფორვარდი „ინტერში" შარშან „იუვენტუსიდან", კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ გადავიდა, როცა ტურინულ კლუბს სერია B-ში უკრეს თავი. „იუვენტუსამდე" იბრაჰიმოვიჩმა „აიაქსში" სამი სეზონი გაატარა, მანამდე „მალმიოში" იყო. მისი მონაგარი კლუბების მიხედვით ასეთია — „მალმიოში" 40 მატჩში 16 გოლი გაიტანა, „აიაქსში" 71-ში — 35, „იუვეში" 69-ში — 23, ხოლო „ინტერში" 48 მატჩში — 29.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რიკენი: მოედნიდან კაბინეტში

**„დორტმუნდის"** ნახევარმცველი, ტრავმებით დატანჯული ლარს რიკენი, წლის ბოლოს კარიერას დაასრულებს. 2008-ის პირველი იანვრიდან იგი კლუბის მარკეტინგული ჯგუფის თანამშრომელი გახდება. რიკენს კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს, მაგრამ გერმანელი ტრავმის გამო ფეხბურთს ვეღარ თამაშობს და იძულებულია, ბურთი კაბინეტზე გაცვალოს. მას მწვრთნელთა შტაბში სურდა მუშაობა, დორტმუნდელთა დამრიგებელმა თომას დოლმა კი იუარა — თანაშემწეები აღარ მჭირდებაო.

31 წლის რიკენმა მთელი კარიერა „დორტმუნდში" გაატარა და 90-იანების შუაში ისე გაიბრწყინა, რომ მთელი გერმანიის სათაყვანებელი გახდა. 1997 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსთან" შეცვლაზე შესვლიდან 16 წამში შორიდან დარტყმით საუცხოო გოლი გაიტანა, ხოლო „დორტმუნდმა" მატჩი 3:1 მოიგო.

მომდევნო სეზონში ლარსი დაშავდა და ჯერ მსოფლიოს (1998), შემდეგ კი ევროპის (2000) ჩემპიონატები გამოტოვა. რუდი ფიოლერმა რიკენი 2002 წლის მუნდიალზე წაიყვანა, მაგრამ ლარსს იქ ერთი წუთიც არ უთამაშია.

**ვაჟა ხუციშვილი**



# რუმენიგე და ჰიცფელდი: წაჯექი და უკუჯექი



**„ბაიერნისა"** და „ბოლტონის" საუეფასთასო მატჩის 2:2 დამთავრების შემდეგ ბავარიული კლუბის მეთაურმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდის მუშაობის მეთოდები გააკრიტიკა, ხოლო გასულ კვირას „შტუტგარტთან" 1:3 მარცხის შემდეგ მის ხმას სიმტკიცე შეემატა და ისიც კი განაცხადა, რომ ჰიცფელდის კლუბში დარჩენის საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩებოდა.

„ბაიერნის" ყოველწლიურ ტრადიციულ შეკრებაზე რუმენიგემ საუბრის ტონი შეცვალა: „მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია, ჩვენს გუნდს წინა წლების წარუმატებლობა დაავიწყოს და კვლავ უძლიერეს გუნდად აქციოს, ეს ადამიანი ოტმარ ჰიცფელდია და მას სიმბოლურად ვუწვდი ხელს". რუმენიგემ ისიც დასძინა, რომ ბედნიერია კლუბი, ასეთი მეგობარი და მწვრთნელი რომ ჰყავსო.

# ლემანის დოიჩ ლანდები
## იყოს ბუნდეს და გინდაც მეორე



**გუშინ** ვწერდით, რომ იენს ლემანის ბედი „არსენალში" ჯერაც არ გარკვეულა. არსენ ვენგერმა ფორმაში ჩადგომის ბოლო ვადად დეკემბრის ბოლო, ანუ კონტრაქტის ამოწურვის თარიღი დაუსახელა — კლუბში მის დარჩენაზე მხოლოდ ამის მერე ვიმსჯელებთო. დღევანდელ „ბილდში" კი, ყველას გასაოცრად, გერმანელმა მეკარემ ზამთრის შესვენებაზე გერმანიაში, თუნდაც მეორე ბუნდესლიგაში დაბრუნებაზე ჩამოაგდო სიტყვა: „ბუნდესლიგა ჩემთვის ყოველთვის მიმზიდველია, ამის თქმა ალბათ მეორე ლიგაზეც შემიძლია. ძალიან მინდა, ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშო, ეს ყოველთვის იყო ჩემი მიზანი".

იოგი ლიოვის გუნდში ადგილის შესანარჩუნებლად ლემანი ლონდონიდან „პადერბორნში", აუეში ან „ვეენში" გადავა. ლემანის ამ გადაწყვეტილებით ლიოვი, ცოტა არ იყოს, გაოცებული ჩანდა: „მეორე ლიგა? იენსი ყველაფერს აკეთებს, რათა ევროპის ჩემპონატზე ითამაშოს. შაბათს ერთმანეთს შევხვდებით და აუცილებლად ვისაუბრებთ იმაზე, გუნდის შეცვლა ნამდვილად სურს თუ არა".

სად შეიძლება წავიდეს ლემანი? „მიუნხენ 1860"-ს ფული არ აქვს, ხოლო „გლადბახს" — ინტერესი. ალბათ, ყურადსაღებია ისიც, რომ ლემანი რამდენჯერმე ესაუბრა თავის ბიძაშვილს, რომელიც „ჰოფენჰაიმში" მენეჯერად მუშაობს.

**ნინო სილაგაძე**

# შესარჩევმა კარეუ აირჩია



**ნორვეგიის** წლის საუკეთესო ფეხბურთელად „ასტონ ვილას" ფორვარდი იონ კარეუ აღიარეს. ჯილდო მან ნაკრებში კარგი თამაშით დაიმსახურა. ნორვეგია ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზეა და ციკლის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ჯგუფიდან გასვლის შანსი აქვს. კარეუმ შესარჩევში ოთხი გოლი მიითვალა. „აღიარება ჩემთვის დიდი პატივია — თქვა თავდამსხმელმა — ვიმედოვნებ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებ".

იონ კარეუმ კარიერა „ლიორენსკომში" დაიწყო, შემდეგ ორი წელი (1997-1999) „ვალერენგაში" გაატარა, საიდანაც „რუსენბორგმა" წაიყვანა. ამ გუნდში მან 18 მატჩში ამდენივე გოლი გაიტანა. 2000-ში „ვალენსიამ" იყიდა და სამ სეზონში 19-ზე მეტი ვერ შეაგდო. 2003 წელს „რომას" ათხოვეს (20 მატჩში 6 გოლი) და მერე „ბეშიქთაშმა" იყიდა. სტამბოლიდან „ლიონმა" შეიძინა და ამ წლის იანვარში „ასტონ ვილაში" გადაბარგდა. ბირმინგემულ კლუბში თავი დიდად ვერ გამოიჩინა, რადგან მხოლოდ ოთხი გოლი მოაგროვა. სამაგიეროდ, ნაკრებში 66 მატჩში 20-ჯერ იხეირა.

ბოლოს ვთქვათ, რომ „მანჩესტერის" ნორვეგიელ ფორვარდ ოლე გუნარ სოლსკიაერს, რომელმაც კარიერა ამ სეზონის წინ დაასრულა, საგანგებო ჯილდო გადასცეს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ვებგუნდი

**ინგლისელ** გულშემატკივართა ვებგვერდმა MYFOOTBALLCLUB-მა მეხუთე დივიზიონის კლუბი „ებსფლიტ იუნაიტედი" 700 ათას გირვანქად შეიძინა. ამ თანხას გვერდის პატრონებმა მომხმარებლების ჯიბიდან მოუყარეს თავი — თითოეულმა 35 გირვანქა გაიმეტა და იმდენი მოგროვდა, რომ „ებსფლიტის" აქციათა 51 პროცენტის საყიდლად ეყოთ.

## შტრაიტი იხუმრებს

**„აინტრახტის"** ნახევარმცველმა ალბერტ შტრაიტმა „შალკესთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „მას საუცხოო პასები ეხერხება და სტანდარტულებსაც შესანიშნავად ასრულებს. შტრაიტი ამ მხრივ ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ტექნიკა არ დაეწუნება და შეტევებშიც ხეირიანად ერთვება" — თქვა „ხუმარების" მწვრთნელმა მირკო სლომკამ. „აინტრახტის" ფეხბურთელს კლუბთან ხელშეკრულება სეზონის ბოლოს ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება.

## ადრიანს დააგვიანდება

**„ფიორენტინამ"** სეზონში პირველი მატჩი კვირას შინ, „უდინეზესთან" წააგო. ამას ისიც დაემატა, რომ გუნდის მთავარმეგოლე ადრიან მუტუ დაშავდა — კუნთი დაეჭიმა — და „იებს" დაახლოებით ერთი თვით დააკლდება. იგი, სერია A-ში „რეჯინასთან", უეფას თასზე და აეკ-თან მატჩებს გამოტოვებს და, სავარაუდოდ, „ინტერთან" შეხვედრისთვის დაბრუნდება, რომელიც 2 დეკემბერს გაიმართება.

## იოვეტიჩი გრიპმაც ნახა

**ბელგრადის** „პარტიზანის" ნიჭიერ ფეხბურთელს სტევან იოვეტიჩს მუშტარი არ აკლია და მის მსურველთა რიგს „მანჩესტერ სიტიც" შეემატა. 17 წლის ფორვარდმა ამ სეზონში 12 მატჩში შვიდი გოლი გაიტანა. სერბულ კლუბს უკვე დაუკავშირდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი" და მადრიდის „რეალი" და უარი მიიღეს. „სიტის" მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა ბელგრადში „პარტიზანის" შეფებთან მოსალაპარაკებლად თანაშემწე ტორდ გრიპი გააგზავნა. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა გორდან პეტრიჩმა განაცხადა: „იოვეტიჩს იანვარში არ გავყიდით. ვიცით, რომ ადრე თუ გვიან მას მაინც შეველევით, მაგრამ 2008 წლის ივნისამდე ეს არ მოხდება." ფეხბურთელის ამჟამინდელი ფასი 15 მილიონი დოლარია, მაგრამ თამაშს ასე თუ გააგრძელებს, „პარტიზანი" უკვე 20 მილიონის ან უფრო მსხვილი თანხის მიღებას შეეცდება.

## სარდაფ იუნაიტედი

**„მანჩესტერ** იუნაიტედის" ფორვარდი უეინ რუნი ახალ ხელობას სწავლობს — ღვინოთმცოდნეობას. ინგლისელ მეგოლეს ძალიან მოსწონს „სოვინიონ ბლანკის" ღვინო, მაგრამ მხოლოდ ერთი მარკა არ აკმაყოფილებს და საკუთარი სარდაფის გაკეთებას აპირებს. რუნის მრჩეველი ამ საკითხში სერ ალექს ფერგიუსონია, ვინც „ყურძნის წვენში" საუცხოოდ ერკვევა და თავისი გუნდის ფორვარდსაც ნელნელა აკვალიანებს. ფეხბურთელის ერთ-ერთმა მეგობარმა თქვა: „ზოგს ჰგონია, რომ უეინი ლუდის მოყვარულია, მაგრამ მას ვახშამზე ღვინის გადაკვრა უფრო სიამოვნებს. მართალია, შეიძლება, ძმარი ღვინისგან ვერ გაარჩიოს, თუმც ალექს ფერგიუსონისგან მალე ბევრ რამეს ისწავლის".

## სარეცხი მანქანა თუ ბარი?

**სეგუნდა** დივიზიონის „სოსიედადის" შეფები მწვრთნელის „გაქრობის" ამბავს გამოიძიებენ. სან სებასტიანის კლუბის თავკაცმა კრის კოულმენმა პარასკევს ტურისწინა, ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საათნახევრით დააგვიანა. მან ჟურნალისტებს მოუბოდიშა და თქვა, რომ სარეცხი მანქანა გაუფუჭდა და სახლი წყლით დაეტბორა, რის გამოც შეაგვიანდა. იქაური მედიის ცნობით კი, კოულმენი პარასკევს დილით ერთ-ერთ ბარში ჭიქით ხელში უნახავთ. „სოსიედადის" სპორტულმა დირექტორმა სალვა ირიარტემ განაცხადა: „ჩვენ ადამიანები ვართ და შეცდომის დაშვების უფლება გვაქვს. მწვრთნელის საქციელი გუნდს არ ავნებს, მაგრამ კოულმენს 10 დღე მივეცით ახსნა-განმარტებისთვის".

## კუსტაროვმა ანჩელოტი დაახარისხა

**ბულგარეთის** ქალაქ პლოვდივის უნივერსიტეტმა კარლო ანჩელოტი გააოცა — „მილანის" 48 წლის თავკაცს „ურთიერთობასა და სპორტში" საპატიო ხარისხი მიანიჭა. რექტორმა ივან კუსტაროვმა განაცხადა, რომ ანჩელოტი ევროპის საუკეთესო მწვრთნელია, ხოლო „ხარისხიანმა" თქვა: „ეს ერთ-ერთი საუკეთესო დღეა, რომელსაც მუდამ სიამოვნებით გავიხსენებ ცხოვრებაში. ულრმესი მადლობა უნივერსიტეტს". პლოვდივი ცნობილია იმითაც, რომ ამ ქალაქში ხრისტო სტოიჩკოვი დაიბადა.

კარლო ანჩელოტის ჯილდოების კოლექციას ახლა ბულგარული „ტიტულიც" შეემატა. „მილანის" თავკაცი ერთ-ერთია იმ ხუთიდან, რომლებსაც ჩემპიონთა თასი ფეხბურთელობისაც მოუგია და მწვრთნელობის დროსაც. ხუთეულში არიან იოჰან კრუიფი, მიგელ მუნიოსი, ჯოვანი ტრაპატონი და ფრანკ რაიკარდი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სარბიელი და კრონი

# წარმოგიდგენთ

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 16 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 81 | სუონსი-ჰადერსფილდი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | 17 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 72 | უოლსოლი-ლუტონი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 73 | როვერსი-მილუოლი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 74 | ქრუ-ნორთჰემპტონი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 75 | დონკასტერი-ტრანმირი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 77 | ლიდსი-სუინდონი | 1.45 | 3.70 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.33 |
| 16:30 | 78 | ლეიტონი-ბრაიტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 79 | ოლდემი-პორტ ვეილი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 80 | საუთენდი-ჩელტენემი | 1.45 | 3.70 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.33 |
| | | 18 ნოემბერი | | | | | | |
| 17:30 | 83 | იოვილი-ჯილინგემი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 84 | შრუსბერი-ბარნეტი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 85 | სტოკპორტი-ჰერეფორდი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 86 | აკრინგტონი-როტერჰემი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 87 | უიკომბი-ლინკოლნი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 19:00 | 88 | ბრენტფორდი-დარლინგტონი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 89 | ბერი-პეტერბორო | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 19:00 | 90 | ჩესტერი-დონსი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 19:00 | 92 | დაგ ენდ რედი-ბრედფორდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 93 | გრიმზბი-მორკემბი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 95 | ნოტსი-მაკლსფილდი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 23:30 | 592 | ლივინგსტონი-პარტიკი | 2.00 | 3.40 | 3.00 | 1.25 | 1.20 | 1.59 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 23:30 | 179 | ტონგრენი-ოსტენდე | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 23:00 | 180 | კორტრეიკი-ნამური | 1.45 | 3.50 | 6.00 | 1.02 | 1.16 | 2.21 |
| 23:30 | 181 | სტ-ჯილი-ვაალე | 1.45 | 3.50 | 6.00 | 1.02 | 1.16 | 2.21 |
| 23:30 | 183 | ბევერენი-ვასლანდი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:00 | 184 | ანტვერპენი-ვიზე | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 23:30 | 185 | ტუბიზე-ლიერსი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 23:00 | 186 | დაინზე-პერუველზი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 15 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 215 | პაჩუკა-კრუზ აზული | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 217 | პალმეირასი-ფლუმინენსე | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | სამხრეთ ამერიკის თასი | | | | | | |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 590 | ამერიკა(მექს)-მილიონარიოსი(კოლ) | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | მს 2010 შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 52 | არგენტინა-ბოლივია | 1.11 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.03 | 4.53 |
| 23:45 | 54 | კოლუმბია-ვენესუელა | 1.50 | 3.50 | 5.70 | 1.04 | 1.18 | 2.16 |
| 23:45 | 55 | პარაგვაი-ეკვადორი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | 18 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 53 | პერუ-ბრაზილია | 4.80 | 3.40 | 1.60 | 1.99 | 1.20 | 1.08 |
| 23:00 | 56 | ურუგვაი-ჩილე | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| | | ევრ. 2008 შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 17 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 1 | სერბეთი-ყაზახეთი | 1.07 | 7.50 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.00 |
| 23:45 | 2 | სერბეთი-ყაზახეთი 0:2 | 1.65 | 3.60 | 3.00 | | | |
| 18:00 | 3 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1.07 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.21 |
| 23:30 | 7 | პოლონეთი-ბელგია | 1.47 | 3.60 | 6.50 | 1.04 | 1.19 | 2.31 |
| 23:30 | 8 | პოლონეთი-ბელგია 0:1 | 2.20 | 3.30 | 2.30 | | | |
| 22:00 | 9 | ლიტვა-უკრაინა | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 22:00 | 10 | ლიტვა-უკრაინა 1:0 | 1.80 | 3.50 | 3.00 | | | |
| 21:00 | 11 | შოტლანდია-იტალია | 3.70 | 3.10 | 1.95 | 1.68 | 1.27 | 1.19 |
| 21:00 | 12 | მოლდოვა-უნგრეთი | 2.70 | 3.10 | 2.40 | 1.44 | 1.27 | 1.35 |
| 22:00 | 13 | ნორვეგია-თურქეთი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:30 | 14 | საბერძნეთი-მალტა | 1.05 | 8.50 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.34 |
| 23:30 | 15 | საბერძნეთი-მალტა 0:2 | 1.50 | 4.00 | 3.30 | | | |
| 23:30 | 16 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.40 | 3.70 | 7.50 | 1.01 | 1.17 | 2.47 |
| 23:30 | 17 | ჩეხეთი-სლოვაკეთი 0:1 | 2.10 | 3.40 | 2.50 | | | |
| 23:00 | 18 | გერმანია-კვიპროსი | 1.07 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.21 |
| 19:00 | 20 | უელსი-ირლანდია | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 23:00 | 21 | მაკედონია-ხორვატია | 5.30 | 3.50 | 1.55 | 2.10 | 1.19 | 1.07 |
| 22:00 | 22 | ისრაელი-რუსეთი | 6.30 | 3.60 | 1.50 | 2.29 | 1.21 | 1.05 |
| 21:00 | 23 | ანდორა-ესტონეთი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 21:00 | 24 | ანდორა-ესტონეთი 1:0 | 2.40 | 3.50 | 2.15 | | | |
| 23:45 | 25 | ესპანეთი-შვედეთი | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 23:45 | 26 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 20:00 | 27 | ლატვია-ლიხტენშტეინი | 1.27 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.12 | 3.10 |
| 20:00 | 28 | ლატვია-ლიხტენშტეინი 0:1 | 1.70 | 3.80 | 3.00 | | | |
| 20:00 | 29 | ბულგარეთი-რუმინეთი | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 23:00 | 30 | ალბანეთი-ბელარუსი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 23:30 | 31 | ჰოლანდია-ლუქსემბურგი | 1.01 | 11.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 8.04 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 16 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 587 | ავსტრია-ინგლისი | 4.50 | 3.30 | 1.65 | 1.90 | 1.20 | 1.10 |
| 23:45 | 588 | საფრანგეთი-მაროკო | 1.20 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.05 |
| | | 17 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 589 | ავსტრალია-ნიგერია | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 565 | ბრაიტონი-ჩელტენემი | 1.65 | 3.40 | 4.35 | 1.11 | 1.19 | 1.90 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 575 | ვალიადოლიდი-მურსია | 2.00 | 3.10 | 3.35 | 1.21 | 1.25 | 1.61 |
| 23:30 | 576 | ლევანტე-ალმერია | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 23:30 | 577 | პონტევედრა-სარაგოსა | 6.30 | 3.70 | 1.40 | 2.33 | 1.14 | 1.01 |
| 23:45 | 578 | ხერესი-უელვა | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 23:45 | 579 | მალაგა-რასინგი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 23:45 | 580 | ლას პალმასი-ვილარეალი | 5.70 | 3.70 | 1.50 | 2.24 | 1.18 | 1.06 |
| | | ჰოკ. შვედეთი | | | | | | |
| | | 15 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 303 | ტიმრო-ჰვ 71 | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 21:00 | 304 | ბრინესი-ფერიესტადი | 2.30 | 4.10 | 2.05 | 1.47 | 1.08 | 1.36 |
| 21:00 | 305 | ლულეო-მოდო | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 21:00 | 306 | ლინშოპინგი-სოდერტელიე | 1.40 | 4.20 | 3.80 | 1.04 | 1.02 | 1.99 |
| 21:00 | 307 | მორა-აიკ | 2.00 | 4.10 | 2.40 | 1.34 | 1.09 | 1.51 |
| | | ჰოკ. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 336 | კარლოვი ვარი-ზლინი | 1.65 | 4.20 | 3.00 | 1.18 | 1.06 | 1.75 |
| 20:30 | 337 | ლიტვინოვი-პლზენი | 1.90 | 4.10 | 2.50 | 1.29 | 1.07 | 1.55 |
| 21:30 | 338 | ლიბერეცი-ტრჟინეცი | 1.55 | 4.20 | 3.30 | 1.13 | 1.05 | 1.84 |
| 20:30 | 339 | ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 1.50 | 4.30 | 3.50 | 1.11 | 1.04 | 1.92 |
| 20:30 | 340 | ზნოიმო-უსტი | 1.40 | 4.40 | 4.20 | 1.06 | 1.04 | 2.14 |
| 21:00 | 341 | სპარტა-კლადნო | 1.35 | 4.40 | 4.80 | 1.03 | 1.05 | 2.29 |
| | | ჰოკ. გერმანია | | | | | | |
| | | 15 ნოემბერი | | | | | | |
| 22:30 | 375 | აისბარენი-ინგოლშტადი | 1.70 | 4.20 | 2.80 | 1.21 | 1.05 | 1.67 |
| | | 16 ნოემბერი | | | | | | |
| 20:30 | 373 | აუგსბურგი-იზერლონი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 22:30 | 374 | დიუსელდორფი-მანჰაიმი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 22:30 | 377 | კიოლნი-ვოლფსბურგი | 1.30 | 4.50 | 5.50 | 1.00 | 1.05 | 2.47 |
| 22:30 | 378 | კრეფელდი-ფრანკფურტი | 2.30 | 4.10 | 2.00 | 1.47 | 1.06 | 1.34 |
| 22:30 | 379 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 1.15 | 4.80 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 2.56 |
| | | ჰოკ. რუსეთი | | | | | | |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 400 | ვიტიაზი-მაგნიტოგორსკი | 3.20 | 4.30 | 1.50 | 1.83 | 1.02 | 1.11 |
| 13:00 | 401 | ამური-ტრაქტორი | 1.60 | 4.30 | 2.55 | 1.16 | 1.00 | 1.60 |
| 17:00 | 402 | სიბირი-სალავატი | 3.50 | 4.30 | 1.40 | 1.92 | 1.00 | 1.05 |
| 15:30 | 403 | ნოვოკუზნეცკი-ლადა | 1.90 | 4.20 | 2.20 | 1.30 | 1.01 | 1.44 |
| 17:00 | 404 | ავანგარდი-ხიმიკი | 1.40 | 4.50 | 3.30 | 1.06 | 1.00 | 1.90 |
| 20:00 | 405 | სპარტაკი მ-ცსკა | 3.50 | 4.30 | 1.40 | 1.92 | 1.00 | 1.05 |
| 20:00 | 406 | დინამო მ-აკ ბარსი | 1.70 | 4.30 | 2.50 | 1.21 | 1.01 | 1.58 |
| 20:00 | 407 | მეტ-ნეფტეხიმიკი | 1.55 | 4.40 | 2.90 | 1.14 | 1.01 | 1.74 |
| 20:00 | 408 | ლოკომოტივ-ტორპედო | 1.15 | 4.70 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 2.53 |
| 19:30 | 409 | სევერსტალი-ცსკა მ | 2.05 | 4.20 | 2.10 | 1.37 | 1.03 | 1.39 |
| | | ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო თასი | | | | | | |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 10:00 | 584 | აშშ-სერბეთი | 1.20 | 3.30 | | | | |
| 13:00 | 585 | სამ კორეა-პერუ | 1.15 | 3.50 | | | | |
| 14:30 | 586 | იაპონია-კუბა | 2.10 | 1.45 | | | | |

## I ტაიმის შედეგი

| № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10575 | ვალიადოლიდი-მურსია | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10576 | ლევანტე-ალმერია | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10577 | პონტევედრა-სარაგოსა | 5.50 | 2.10 | 1.85 | 1.51 | 1.38 | 1.00 |
| 10578 | ხერესი-უელვა | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |
| 10579 | მალაგა-რასინგი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10580 | ლას პალმასი-ვილარეალი | 5.20 | 2.20 | 1.90 | 1.54 | 1.39 | 1.01 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| № | მატჩი | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11575 | ვალიადოლიდი-მურსია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11576 | ლევანტე-ალმერია | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11577 | პონტევედრა-სარაგოსა | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11578 | ხერესი-უელვა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11579 | მალაგა-რასინგი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11580 | ლას პალმასი-ვილარეალი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| № | მატჩი | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12575 | ვალიადოლიდი-მურსია | 1.70 | 1.90 |
| 12576 | ლევანტე-ალმერია | 1.70 | 1.90 |
| 12577 | პონტევედრა-სარაგოსა | 1.90 | 1.70 |
| 12578 | ხერესი-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 12579 | მალაგა-რასინგი | 1.60 | 2.00 |
| 12580 | ლას პალმასი-ვილარეალი | 1.90 | 1.70 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| № | მატჩი | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13575 | ვალიადოლიდი-მურსია | 1.70 | 1.90 |
| 13576 | ლევანტე-ალმერია | 1.70 | 1.90 |
| 13577 | პონტევედრა-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13578 | ხერესი-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 13579 | მალაგა-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13580 | ლას პალმასი-ვილარეალი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| № | მატჩი | | |
|---|---|---|---|
| 14575 | ვალიადოლიდი-მურსია | 1.70 | 2.20 |
| 14576 | ლევანტე-ალმერია | 1.80 | 2.00 |
| 14577 | პონტევედრა-სარაგოსა | 2.60 | 1.20 |
| 14578 | ხერესი-უელვა | 2.20 | 1.70 |
| 14579 | მალაგა-რასინგი | 1.95 | 1.85 |
| 14580 | ლას პალმასი-ვილარეალი | 2.50 | 1.30 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| № | მატჩი | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15575 | ვალიადოლიდი-მურსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15576 | ლევანტე-ალმერია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15577 | პონტევედრა-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15578 | ხერესი-უელვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15579 | მალაგა-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15580 | ლას პალმასი-ვილარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| № | მატჩი | | |
|---|---|---|---|
| 16575 | ვალიადოლიდი-მურსია | 1.40 | 2.55 |
| 16576 | ლევანტე-ალმერია | 1.65 | 2.05 |
| 16577 | პონტევედრა-სარაგოსა | 4.10 | 1.17 |
| 16578 | ხერესი-უელვა | 2.30 | 1.48 |
| 16579 | მალაგა-რასინგი | 1.80 | 1.85 |
| 16580 | ლას პალმასი-ვილარეალი | 3.60 | 1.23 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| № | მატჩი | | |
|---|---|---|---|
| 17575 | ვალიადოლიდი-მურსია | 1.85 | 1.95 |
| 17576 | ლევანტე-ალმერია | 1.85 | 1.95 |
| 17577 | პონტევედრა-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17578 | ხერესი-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17579 | მალაგა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17580 | ლას პალმასი-ვილარეალი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ძველი გვარდია ნაკრებიდან მიდის

## ილო მაისურაძე ქველმოქმედებით დაკავდება

**საქართველოს ნაკრებს ნელ-ნელა ტოვებს ძველი გვარდია. მსოფლიოს თასის შემდეგ ვეტერანთა ნასვლა ლოგიკური და ადრევე ცნობილი იყო, მაგრამ 30 წლის ილო მაისურაძემ გუშინ რომ გვითხრა, სანაკრებო კარიერა დავასრულეო, ცოტა მოულოდნელი აღმოჩნდა. ჩვენი ნაკრების მორკინალს, რომელიც თავისი უმოწყალო ბოჭვებით არის ცნობილი, გუშინწინ „ლელო“ — „ლიგამუსის“ ნახევარფინალური მატჩისას გავესაუბრეთ. ნამსოფლიოთასარი ილო მაისურაძე „ლიგამუსს“ დაემატა, მაგრამ გუშინ ტრავმის გამო არ უთამაშია**



ბადრი კეთილაძის ფოტო

**— რატომ გადაწყვიტე, ნაკრებში აღარ გეთამაშა. მით უმეტეს, რომ ბოლო დროს შემადგენლობაში სტაბილურად ხვდებოდი და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც იყავი?**

— ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ გადავწყვიტე საქართველოში დავრჩე და საფრანგეთში სათამაშოდ აღარ დავბრუნდე. ბოლო ცხრა წელია, „ნანტში“ ვიყავი, აქაურობა ძალიან მენატრებოდა და ამასთან ერთად, დავიღალე კიდეც. ახლა „ლიგამუსს“ დავეხმარები, მერე კი ვნახოთ, შეიძლება, რაგბის თამაში აქაურ ჩემპიონატშიც გავაგრძელო, შეიძლება, საერთოდ, დავანებო თავი. აქ სეზონი ორ კვირაში დასრულდება, მერე გაზაფხულამდე შესვენებაა, ნაკრებს თამაშები თებერვალ-მარტში ელის — იმ დროისთვის ფორმაშიც ვერ ვიქნები. ამიტომ ვამჯობინე, აქტიურ კარიერას შევეშვა და სხვა საქმეს მივხედო.

**— ეს საქმე რაგბისთანაა კავშირში?**

— მე და ჩემ თანაკლუბელ ნონო ანდღულაძეს ჩვენმა რაგბის კავშირმა ბავშვთა რაგბის კომიტეტი ჩაგვაბარა და მომავალი თაობის აღზრდაზე ვიზრუნებთ. ამასთან ერთად, ძალიან საპასუხისმგებლო საქმეს მოვკიდე ხელი და ჩემი საზღვარგარეთ ყოფნით ხელი შემეშლებოდა. საფრანგეთში არის ცნობილი საქველმოქმედო ფონდი „კოლექტივი“, რომლის დამაარსებლები სახელიანი სპორტსმენები არიან, მაგალითისთვის მარტო მარსელ დესაი და ფრანგი ხელბურთელი ჯექსონ რიჩარდსონიც კმარა. მათ [illegible] საქმიანობა საქართველოში გააქტიურეო. ფონდი კი მიუსაფარ და [illegible] ბავშვებზე ზრუნვას და სპორტით დაკავებას უზრუნველყოფს. ძირითადად, ბავშვები რაგბიზე, ფეხბურთსა და ძიუდოზე შეჰყავთ და პატრონობენ. როდესაც მსოფლიოს თასზე ვთამაშობდი, იმ პერიოდში მარსელ დესაიმ ნანტში ჩაატარა საქველმოქმედო მატჩი. ერმანეთს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები და ფონდის თანამშრომლები შეხვდნენ. მე, ცხადია, ვერ ჩავედი სათამაშოდ. ჩემი 6-ნომრიანი მაისურა კი მოგვიანებით გადმომცეს. რაც მთავარია, ამ მატჩიდან შემოსულ თანხას მარსელ დესაი მალე გადმოგვირიცხავს და საქართველოს სპორტის დეპარტამენტთან ერთად, ბავშვებზე გადავანაწილებთ.

**— ასეთი მატჩის ჩატარებას საქართველოშიც აპირებთ?**

— აუცილებლად, ოღონდ თარიღი და ვინ ვის შეხვდება, ჯერ არ ვიცით. ახლა სწორედ საორგანიზაციო საკითხებს ვაგვარებთ და ახლო მომავალში გადაწყდება, რა სახის მატჩს ჩავატარებთ.

**ბაჩო სვანიძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

ნახევარფინალი. 13 ნოემბერი. „შევარდენი“

**თსუ 10:35 ყოჩები**

**თსუ:** კავთიძე, წიკლაური, ნუცუბიძე, კილასონია, ხუციშვილი; ბაირამაშვილი, ზამბახიძე; ტუჩაშვილი, ჯიმუხაძე, კილასონია, კობახიძე, სურგულაძე, ალადაშვილი, ზამბახიძე, კაკოვინი

შეცვლაზე შევიდნენ: ჯაში, გეგია

1ლ: ზამბახიძე; 1გ: წიკლაური; 1ს: ბაირამაშვილი

**ყოჩები:** გ. კაჭარავა, გეგენავა, დ. კაჭარავა, ადანაია, ელოშვილი; მალალურაძე, ხელაძე, კობახიძე, ახვლედიანი, გენეზაშვილი, არჩუაშვილი, ბელაშვილი, ასეიშვილი, ნიჟარაძე, ყალიჩავა

შეცვლაზე შევიდნენ: ნიკოლეიშვილი, თოთაძე, მახარაშვილი, ს. ნიჟარაძე, გრძელიშვილი, ბარათაშვილი, გაბუნია

5ლ: ყალიჩავა (2), გ. კაჭარავა, გეგენავა, ელოშვილი; 5გ: მალალურაძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ყოჩებმა სტუდენტები უდიპლომოდ დატოვეს

**„შევარდენის“** სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის მეორე ნახევარფინალური შეხვედრაც გაიმართა. ერთმანეთს გათამაშების მესამე-მეოთხე ადგილოსნები ხვდებოდნენ. თავიდანვე გეტყვით, რომ ამ ჯახში ფავორიტმა და საქართველოს თასის მფლობელმა „ყოჩებმა“ შანსი არ დაუტოვეს თსუ-ს და პირველ ტაიმშივე გადაწყვიტეს მატჩის ბედი. შეხვედრა სათამაშოდ ლაღი და სანახაობრივად თვალსასეირო გამოდგა. მობურთალეებმა თამაშის დიდი ნაწილი ხელდახელ რაგბობაში გალიეს და ნამდვილად ლამაზი რაგბი უჩვენეს ტრიბუნებზე თავმოყრილ მცირერიცხოვან გულშემატკივარს.

ბოლო ხანებში შემადგენლობის მხრივ მოძლიერებულმა „ყოჩებმა“ ჩემპიონატის მე-10 ტურის მატჩში თსუ-სთან წააგეს და სტუდენტთა გულითადი ქომაგნი ახლაც ფიქრობდნენ, რომ სენსაციის მომსწრენი კიდევ ერთხელ გახდებოდნენ, მაგრამ თსუ-მ პლეი ოფში გმირობა ვერ გაიმეორა და ჩემპიონატს გამოეთიშა.

გუნდები მატჩის დასაწყისშივე ალალად ეკვეთნენ ერთმანეთს. ანუ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ფეხით პინ-პონგი არ გაუჩაღებიათ და პირდაპირ ხელდახელ თამაშით ამოდიოდნენ თავიანთი ნახევრებიდან. ამ ყველაფერმა 22-ე წუთამდე ხეირი ვერც ერთ გუნდს ვერ მოუტანა. ის კი იყო, რომ „ყოჩები“ ნელ-ნელა ეუფლებოდნენ უპირატესობას და მეტოქის ტერიტორიებიც აითვისეს. თასის მფლობელები მრავალფაზიან თავბრუდამხვევ შეტევებს აწყობდნენ და სიტუაციას ემჩნეოდა, რომ ლელო მწიფდებოდა.

მორიგი შეტევისას, ერთ-ერთ ხაზზე ჩათამაშებულს ყალიჩავა დაეუფლა, გიგანტური სხეულით მეტოქეები გადათელა და შეხვედრის პირველი ლელოც გაიტანა. ახლავე გეტყვით, რომ გარდასახვებისას გუშინ „ყოჩთა“ 10 ნომერი მალალურაძე უზუსტესი გახლდათ. მან ხუთივე გარდასახვა გამოიყენა, თანაც ზოგიერთი მათგანი საკმაოდ უხერხული ადგილებიდან.

პირველ ლელოს ორიოდე წუთში იგივე ყალიჩავამ მეორეც მიაყოლა. საკუთარ ხუთ მეტრიანში გამომწყვდეულმა სტუდენტებმა ფეხბურთი გააჩაღეს, რასაც მათივე დაჯარიმება მოჰყვა. უმალ გათამაშებულს ისევ ყალიჩავა დაეუფლა და მოკლე ფრთაზე მოწინააღმდეგის ლელოში შეირბინა.

თსუ რაღაც მომენტში აენთო და ლელოს გატანაც შეეძლო, მაგრამ აუტზე გადაგდებას თითქმის ასპროცენტიანი ჯარიმა არჩიეს და ბაირამაშვილმაც პირველი სამი ქულა მოუტანა გუნდს — 3:14, მაგრამ ერთი საჯარიმო რას დააკლებდა თამაშის იმტაზე მოსულ „ყოჩებს“. მათ კომბინაციების კასკადი დააყარეს შედარებით გამოუცდელ სტუდენტებს და ერთი ასეთი ლამაზი შეტევა მენაკრებე კაჭარავამ მორიგი ლელოთი დაასრულა.

პირველ ტაიმის დასრულებას შვიდი წუთი აკლდა, რომ გეგენავამ კიდევ ერთხელ მოინახულა სტუდენტთა ლელო და ყველაზე ოპტიმისტი ქომაგიც კი ჩაუჩუმა თსუ-ს.

შესვენებიდან კარგ ხასიათზე მობრუნებულმა „ყოჩებმა“ მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაიტანეს ლელო, რომელიც თავის ანგარიშზე ელოშვილმა ჩაიწერა და მას შემდეგ ფავორიტები დარჩენილი დროის მანძილზე საკუთარ ნახევარში „ჩასანგრდნენ“. ამან თსუ-ს ოდნავ ხელ-ფეხი გაუხსნა და საბოლოო ჯამში კინკილა ლელოც მოუტანა. მეტოქის ხუთმეტრიანს მიახლოებული სტუდენტები რაქში ჩაიქცნენ. გამოტანილ ბურთი 9 ნომერმა ზამბახიძემ იგდო ხელში, ცრუ მოძრაობას წამოაგო დამხვდურნი და სალელოვედ შევარდა. გარდასახვის დროს წიკლაურმა ივარგა და ჯახში საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ახლა „ყოჩები“ მცირე ფინალში რამდენი ხანია, პრინციპულ მეტოქედ ქცეულ „ლიგამუსს“ შეხვდება და გამარჯვებული საქართველოში უძლიერესს უკვე „ლელოსთან“ გაარკვევს.

**ზურაბ მიგრიაული**


# სარბიელი
## სამუშაოდ იწვევს
### გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
### მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42ა, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14



გიორგი გოგუაძე და ოლეგ იაძე

# თბილისში პრაღა დაფასდა

## 2010 წლის ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატს საქართველო უმასპინძლებს

**8-11 ნოემბერს** პრაღაში გამართულ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა წარმატებით იასპარეზეს და ყულაბაში ორი ოქროს, ორი ვერცხლის და ერთიც ბრინჯაოს მედალი ჩააჩხრიალეს. თბილისში დაბრუნებული სპორტსმენები გუშინ სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში მედიის წინაშე წარსდგნენ, სადაც მათ ფულადი ჯილდოები სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გოგუაძემ გადასცა. ჩემპიონები 5 000, ხოლო პრიზიორები 2 000 ლარით დასაჩუქრდნენ. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავა და ნაკრების თავკაცი **ოლეგ იაძე**, რომელმაც ცხრავე სამბისტის გამოსვლა შეაფასა და სამომავლო გეგმებზეც მოგვითხრო.

— 44 ქვეყანას შორის მოპოვებული 5 მედალი ნამდვილად წარმატებაა. წინასატურნირო პრესკონფერენციაზე ქართველ გულშემატკივარს 5-6 მედალს დავპირდით და შევასრულეთ კიდეც. ჩვენი გუნდის შედეგი წლეულს საქართველოში უთუოდ საუკეთესოა. უშანგი კუზანაშვილს (52კგ) ყველა ძლიერი მეტოქე შეხვდა, მაგრამ ფინალამდე მძლავრად მივიდა, იქ კი მისთვის ნაცნობ ბესლან მუდრანოვს მოუგო. არადა, ორი წლის წინ უშანსოდ აგებდა, მაგრამ მონდომა, ბევრი ივარჯიშა და შედეგიც მოიმკო. გელა ბარათაშვილისგან (57კგ) მედალს ველოდით, თუმც ხელი მოეცარა. მეტოქემ წყობიდან გამოიყვანა და არასპორტული საქციელისთვის ქულები დაკარგა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა. დავით ხვიმონიშვილი (62კგ) მოქმედი ევროპის ჩემპიონია და შედეგსაც ველოდით მისგან, მაგრამ რატომღაც სუსტად გამოვიდა... ნოდარ მჭედლიშვილის (68კგ) მე-5 ადგილი ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია, მისგან ახლა მეტს არც ველოდით. კახა მამულაშვილზე (74კგ) ცოტა გაბრაზებული ვარ. მან ბრინჯაო კი აიღო, მაგრამ მინიმუმ ვერცხლის მოპოვება შეეძლო, ნახევარფინალში დასანანი მარცხი იწვნია, მეტოქეს შებოჭვაზე გაჰყვა, როცა აუცილებლად უნდა გაქცეოდა.

ლევან წიკლაური (82კგ) ფინალური ორთაბრძოლისთვის ვერ გაეწყო, თავიდანვე ოთხი ქულა აჩუქა ბელარუს აბდულგანილოვს, მერე სამი კი აუღო, მაგრამ მაინც დამარცხდა.

მინდია ბოლქველისგან (90კგ) მხოლოდ ოქრო გვინდოდა, ის ხომ გუნდის ლიდერია, მაგრამ პირწმინდად წააგო, რადგან კარგად არ მოემზადა. საკუთარი ძალების ზედმეტად ირწმუნა. ის სულით სპორტსმენია და მარცხი ძალიან განიცადა. მჯერა, მალე გამოასწორებს ამ შეცდომას.

მირიან პავლიაშვილს (+100კგ) ან ოქრო უნდა აეღო, ან არაფერი. ჩემი პროგნოზი გამართლდა. მისი ჭიდაობით ყველა გაოცდა. პავლიაშვილმა მთელი ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და შედეგიც მიიღო. ზვიად ჩიჩინაძემ (+100კგ) იმედი გაგვიმართლა. მისი შედეგი ამ ეტაპზე მაქსიმუმი იყო.

წლის ბოლომდე გვინდა, ვეტერანი სამბისტის ლავრენტი კაციაშვილის ტურნირი გავმართოთ. გუნდი ასევე გეგმავს ბაკურიანში მოსამზადებელი ეტაპის გავლას. აქვე გეტყვით, რომ მიღწეულია შეთანხმება საერთაშორისო ფედერაციასთან და 2010 წლის მსოფლიო პირველობას ჭაბუკებში და ახალგაზრდებში თბილისი უმასპინძლებს. მოლაპარაკება მიდის ასევე 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის სტატუსის მოსაპოვებლად.

ამის მერე ფედერაციის პრეზიდენტმა **გიორგი გოგუაძემ** თქვა ორიოდე სიტყვა:

— წლევანდელი წელი წარმატებით დავიწყეთ და ასეც გავაგრძელეთ, რაც ძალიან მახარებს. მომავალში უფრო აქტიურები ვიქნებით. ვეცდები, კიდევ უფრო ბევრი ბიზნესმენი დავაინტერესო ამ სპორტით.

**ლაშა მაისურაძე**



# ნიკოლოზ ცქიტიშვილი ყურადღების ცენტრში

## ყოველთვის მზად ვარ, ჩემი ქვეყნის ღირსება დავიცვა

ნბა-სა და ევროპის გუნდებში ხუთწლიანი მოგზაურობის შემდეგ ნიკოლოზ ცქიტიშვილმა სასურველ ადგილს მიაგნო. უფრო სწორად, ნიკა იქ აღმოჩნდა, სადაც თავს კარგად გრძნობს. სათადარიგოთა სკამზე გაუთავებელი ჯდომისა და გუნდიდან გუნდში მოგზაურობის შემდეგ ცქიტიშვილმა იტალიური „ტერამოს" ხუთეულში დაიმკვიდრა ადგილი და საკუთარი მონაცემების რეალიზებას შეუდგა. ნბა-ს კლუბები მის სისწრაფესა და მიზანს დახარბდნენ და ცენტრის სიმაღლის კაცი პერიმეტრზე გაამწესეს. იტალიაში კი ნიკას ფარქვეშ მიუჩინეს ადგილი და შედეგიც სახეზეა — „ცქიტო" „ტერამოს" ლიდერებში გაერია და მთელ სერია A-ში ანგარიშგასაწევ ცენტრად იქცა. მან იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში 27 წუთში 20 ქულა მიითვალა და მანამდელ მატჩებშიც არ გარჯილა ცუდად. გუშინ ცქიტიშვილს ტერამოში შევეხმიანეთ და იტალიურ ამბებთან ერთად, ცხადია, ნაკრებზეც ვესაუბრეთ



**— ნიკა, სერია A-ს აშკარად მოერგე და რას ფიქრობ, რის გამო მოხდა ეს?**

— ალბათ უმთავრესად მონდომების ხარჯზე. ისე კი პოზიციის გამოცვლა ძალიან წამადგა. თუ აქამდე ძირითადად პერიმეტრზე მიწევდა თამაში, „ტერამოში" ცენტრად გამამწესეს და ყველაფერი გამიადვილდა. ჩემს სიმაღლეს ფარქვეშ კარგად ვიყენებ და გაცილებით სარგებლიანი გავხდი.

**— „ტერამომდე" არაერთ გუნდში გითამაშია და რომელიმე მათგანში რატომ არ გამოგცადეს ცენტრის პოზიციაზე?**

— ვერ გეტყვი. ნბა-ში ეს არც კი უფიქრიათ, რადგან კარგად ვესროდი შორიდან და სირბილშიც არავის ჩამოვუვარდებოდი. მსუბუქ ფორვარდად, ან სულაც ფრთის პოზიციაზე მათამაშებდნენ. „ტერამოში" კი ჩემი ადგილი ვიპოვე. სერია A-ს ცენტრებს შორის ყველაზე სწრაფი ვარ და ეს ძალიან დიდი უპირატესობაა.

**— აქამდე ალბათ იმიტომ არ გათამაშებდნენ ცენტრად, რომ წონა არ გიწყობდა ხელს...**

— ეგ თავისთავად და მთავარი ალბათ „ტერამოში" შექმნილი ვითარება იყო. ჩემს მერე ყველაზე მაღალი მოთამაშე 205 სანტიმეტრია და ფარქვეშ იძულებით გადამიყვანეს. ამან, ჩემდა საბედნიეროდ, გაამართლა და დღეს ვნანობ, რომ ტყუილად დავკარგე წლები. ახლა ვხვდები, რომ ჯობდა, თავიდანვე ფარქვეშ მეთამაშა და დღეს უკვე ჩამოყალიბებული ცენტრი ვიქნებოდი.

**— წონის პრობლემა აღარ გაქვს?**

— არა, საკმაოდ მოვიმატე. 120 კილო ვარ და ჯანით სერია A-ში არც ერთ ცენტრს არ ჩამოვუვარდები. მხოლოდ ფეხების პრობლემა მაქვს. არის იმის საშიშროება, რომ ამხელა მასას ვერ გაუძლოს და ტრავმა მივიღო. ამიტომ ახლა სპეციალურად მავარჯიშებენ, რომ გავძლიერდე.

**— რას ფიქრობ, კიდევ გაქვს გაძლიერების რესურსი?**

— ახლა იმ ასაკში ვარ, როცა კალათბურთელი პროგრესს განიცდის. ზოგი ადრე იწყებს განვითარებას, მაგრამ ისეც ხდება, რომ ჩემს ასაკშიც უმატებენ. ვფიქრობ, რომ კიდევ შემიძლია თამაშის დახვეწა და ამაში ყოველი მატჩის შემდეგ ვრწმუნდები.

**— ნბა-ში დაბრუნებაზე ხომ არ ფიქრობ?**

— არა, ჯერ არსად მეჩქარება. ნბა-ში თამაში არაა ჩემი თვითმიზანი. მე მინდა თამაში და არა შოუ. სერია A-ში საკმაოდ კარგად ვგრძნობ თავს. ბევრსაც მათამაშებენ და კმაყოფილებიც არიან ჩემით. აქამდე მეგონა, რომ ევროპაში ესპანეთში იყო ყველაზე ძლიერი ლიგა, თუმცა „ტერამოში" გადმოსვლის შემდეგ აზრი შემეცვალა. სერია A პრიმერადივიზიონზე ძლიერი თუ არაა, არც არაფრით ჩამოუვარდება. „ტერამოსთან" 2-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და არა მგონია, მის ამოწურვამდე სადმე წავიდე. სერია A-ში მე დიდ გამოცდილებას ვიძენ და თუ 2-3 წელი აქ სტაბილურად ვითამაშებ, შესაძლოა, მერე ნბა-ზეც ვიფიქრო...

**— საქართველოს ნაკრებზეც გკითხავ. რას ფიქრობ, სამართლიანად მოგექცნენ, როდესაც დაგვიანების გამო შემადგენლობაში არ აგიყვანეს?**

— მე ძალიან მინდოდა ნაკრებში თამაში, მაგრამ ჯერ კლუბი მქონდა მოსანახი. უკონტრაქტოდ ვერ ჩამოვიდოდი და ეს იცოდა ფედერაციის ხელმძღვანელობამ. „ტერამოსთან" კონტრაქტი ხამშაბათს გავაფორმე და თბილისში პარასკევს ჩამოვედი პირველივე რეისით. ნაკრები ლუქსემბურგში იყო და მეგონა, ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანიც გუნდს ახლდა. შაბათს საფრანგეთის საელჩო არ მუშაობდა, რომ მივსულიყავი და ისლანდიის ვიზა ამეღო. მერე კი ნაკრებიც ჩამოვიდა და პირველივე ვარჯიშზე მივედი. მწვრთნელს ბოდიშიც მოვუხადე, მაგრამ მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ არ მათამაშებდა. ასე მითხრა, ძალიან დაიგვიანე, ერთი თვეა, ვვარჯიშობთ და გუნდთან შეთამაშებული არ ხარ. ბიჭებთან არ ვიქნები მართალი, რომ გათამაშოო. გამიკვირდა, რომ ბესიკ ლიპარტელიანი არ ჩაერია ამ საქმეში და ნაკრების კარები ჩემთვის დახურული აღმოჩნდა.

**— ვლადიმერ ბოისამაც დააგვიანა, მაგრამ ნაკრებს ისლანდიაში შეუერთდა და ითამაშა კიდეც.**

— ბოისას საქმე გარკვეული იყო. ის შვილის შეძენას ელოდებოდა და დაახლოებით იცოდა, როდის შეუერთდებოდა ნაკრებს. მე კი გუნდს ვეძებდი და გაურკვეველი იყო, როდის მოვაგვარებდი საქმეს.

**— რამეზე ნაწყენი ხომ არ ხარ?**

— არავისზე არ ვარ ნაწყენი, მხოლოდ ნაკრების მწვრთნელისგან არ მესიამოვნა ასეთი მოპყრობა. ჩემი ქვეყნის ნაკრებში უცხოელი კარებს მიკეტავს. ვფიქრობ, კენ შილდსმა შეცდომა დაუშვა, ისლანდიაში რომ არ წამიყვანა. ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი. ესპანეთში თამაშმა გამოცდილება და რწმენა შემმატა, რასაც დიდი სიამოვნებით მოვახმარდი ნაკრებს, მაგრამ...

**— კენ შილდსი რომ დარჩეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელად, აღარ ითამაშებ?**

— მე ნაკრებში ქართველი ხალხის გამო ჩამოვდივარ. ახლა ორწლიანი კონტრაქტი მაქვს და მსგავსი პრობლემები აღარ მექნება. ყოველთვის მზად ვარ, ჩვენი ქვეყნის ღირსება დავიცვა.

**ირაკლი პერტაია**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ქვა დაღმართში კარტერი დაიმტვრა

12 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 89:84 ნიუ ორლეანი**

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (32), კიდი (14 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა), კრსტიჩი (12 ქულა, 10 მოხსნა), რაიტი (12)
ნიუ ორლეანი: პოლი (27), ჩანდლერი (14 ქულა, 12 მოხსნა), ვესტი (13), სტოიაკოვიჩი (12)

**დენვერი 122:100 კლივლენდი**

დენვერი: აივერსონი (37 ქულა, 8 პასი), სმიტი (29), ენტონი (22)
კლივლენდი: ჯეიმსი (27), ნიუბლი (17), ბრაუნი (12)

**იუტა 117:93 საკრამენტო**

იუტა: ბუზერი (32 ქულა, 10 მოხსნა), კირილენკო (15 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ბრიუერი (13)
საკრამენტო: სალმონსი (22), მარტინი (21), გარსია (19)

ჯეისონ კიდმა და მისმა „ნიუ ჯერსი ნეთსმა" პიკი 2002-03 წლებში გადაიარეს და მთელი ეს წლები ინერციით მოდიან დაღმართზე. მათ ვერ აისრულეს სანუკვარი ოცნება: ვერ გახდნენ ჩემპიონები, თუმცა ამის შანსი ორჯერ ჰქონდათ. ახლა ჯერსელები საშუალოებში ტრიალებენ, როცა ტრავმირებული არავინ ჰყავთ. მაგრამ მათდა საშწუხაროდ, ასეთი რამ იშვიათად ხდება. წინა სეზონში ხან ჯეფერსონი იყო დამტვრეული და ხან კრსტიჩი. ახლა თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო, „ბადეებმა" საწყისი 5 მატჩიდან 4 მოიგეს, მაგრამ კვირას „ბოსტონთან" შეხვედრაში ზურგში ქვა მიეწიათ — დაიმტვრა ვინს კარტერი, რომელმაც კოჭი იღრძო და გაურკვეველი დროით გამოაკლდა თავის გუნდს. ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით ისაა ცნობილი, რომ კარტერი უახლოეს თამაშებში ვერაფრით მიეხმარება თავისიანებს.

მისი არყოფნა კი უკვე დაეტყო „ნიუ ჯერსის". მან „ბოსტონთან" ხომ წააგო შაბათს და ორშაბათს შინ დამარცხდა „ნიუ ორლეანთან". ამ მატჩშიც გამოიჩინა თავი „ბადეთა" ფორვარდმა რიჩი ჯეფერსონმა, რომელიც კვლავ ასცდა 20-ქულიან ზღვარს და სულაც 32 ქულა მოიხვეჭა, მაგრამ ის ბოლო მეოთხედში ბევრი ვერაფრით დაეხმარა თავისიანებს. მატჩის ბედი კი გადაწყვიტა „ნიუ ორლეანის" გამთამაშებელმა კრის პოლმა, რომელმაც 12 წლით უფროს ოპონენტ ჯეისონ კიდთან დუელში საუცხოო მატჩი ჩაატარა და დროის ამოწურვამდე 2,6 წამით ადრე 82:82 ანგარიშზე მკვლელი ორქულიანი ჩააგდო.

**კოტე ყორშია**



# კვირის მოთამაშეები

**აღმოსავლეთი**
კევინ გარნეტი (ბოსტონი)



**დასავლეთი**
იაო მინი (ჰიუსტონი)



სეზონის დაწყებამდე „ჰიუსტონ როკიტსის" სამზარეულოდან ხმები გამოდიოდა, ტეხასური გრანდების დუეტი („სან ანტონიო" და „დალასი") ტრიოდ უნდა ვაქციოთ და საჩემპიონო ალბუმს ჩვენც ავუწყოთ ფეხიო. პირველი მატჩების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს გუნდი ნათქვამს საქმედ აქცევს — საწყისი 7 მატჩიდან 6 მოიგო, ეს კი თავისთავად მოთამაშეთა დამსახურებაა. „ჰიუსტონს" ორივე ვარსკვლავი საუკეთესო ფორმაში ჰყავს — ტრეისი მაკგრეიდი წინა კვირის (30 ოქტომბერი — 4 ნოემბერი) საუკეთესო მოთამაშე გახდა, იაო მინი კი ამ კვირის (5-11 ნოემბერი).

იაო მინის ძალისხმევით „ჰიუსტონმა" კვირაში ოთხიდან სამი მატჩი მოიგო და დასავლეთ კონფერენციის ცხრილის თავში ადგილი შეინარჩუნა. თავად მინმა ამ საქმეში 27,8 ქულით, 10,5 მოხსნით, 4,0 პასით და 2,8 დაფარებით ლომის წილი დაიდო.

რაც შეეხება აღმოსავლეთ კონფერენციას, აქ სადღეისოდ უდავოდ საუკეთესოა „ბოსტონ სელტიქსი", რომელიც სეზონის ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება. გასულ კვირაში „კელტებმა" სამივე თამაში მოიგეს. ქულებით და განსაკუთრებით მოხსნა-პასებით სამივეში გამოირჩა კევინ გარნეტი. მისი კვირეული მონაგარი საშუალოდ 22,7 ქულა, 15,3 მოხსნა, 6,3 პასი, 2,7 ჩაჭრა და 1,7 დაფარებაა.

**კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის" ვერსია):**
რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი), ემანუელ ჯინობილი (სან ანტონიო), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), კევინ გარნეტი (ბოსტონი), იაო მინი (ჰიუსტონი)



# კოკაის ბაკენბარდები მოუხდა

**ფუკუოკურ** ბაშოზე ახალი ვარცხნილობით გასულმა კოკაიმ გუშინ მეორე ქულა აიღო და წინა დღით განულებული ბალანსი ისევ სათავისოდ შეატრიალა. ტურნირის მიმომხილველი ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ლევან ცაგურიას იმიჯი სუმოს თავკაცების რეკომენდაციით შეუცვლია. ბაკენბარდებმოშვებულმა 26 წლის ქართველმა მესამე ტურში 35 წლის ექსსეკივაკე ტოსანოუმის სძლია. სასტარტო შეტევით ცაგურიას 170-კილოგრამიან დევკაცთან ბევრი არაფერი გამოუვიდა, მაგრამ უპირატესობა მაინც არ დათმო და მომგებიანი ილეთიც მალევე შეასრულა.

კოკაის მსგავსად, ორ-ორი ქულა აქვთ უმაღლესრეიტინგიან რიკისებს — იოკოძუნა ხაკუხოს და ოძეკებს — კაიოს, კოტომიცუკისა და კოტოოსიუს. ხაკუხომ გუშინ 185-კილოგრამიანი მიაბიამა გადაუძახა დოჰიოდან, იმპერატორის თასის ხუთგზის მომგებმა კაიომ კომუსუბი კოტოსიოგიკუ დასცა, კოტომიცუკიმ — ექსოძეკი დეძიმა, 203-სანტიმეტრიანმა „ბალკანელმა გულივერმა" კოტოოსიუმ კი — რიგითი მაეგაშირა ხომასიო.

თითო მარცხის მიუხედავად, სპეციალისტები ამ ოთხეულს მაინც უმთავრეს ფავორიტებად ასახელებენ, კიდევ ერთ ოძეკი ტიოტაიკაისთან ერთად. ამ უკანასკნელს მიმდინარე ბაშოზე ჯერჯერობით ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს, თუმც მესამე ქულის ასაღებად უმძიმესი ბრძოლა და გვარიანი ნერვიულობა გადახდა. აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა კისენოსატომ გამოცდილი მეტოქე მძლავრი შეტევით დოჰიოს საზღვრამდე გაათრია, წამებში ლამაზი ილეთითაც გაუსწორდა, მაგრამ შეხვედრის მომსახურე გიოძიმ გამარჯვებულად მაინც ტიოტაიკაი გამოაცხადა, აქაოდა, სანამ კისენოსატო მოწინააღმდეგეს წააქცევდა, დოჰიოს ხაზსმიღმა ქუსლით გადავიდაო. წრის მსაჯების სახელდახელო კრებამ მონო-იიმაც მხარი დაუჭირა.

ტიოტაიკაის მხარდამხარ დაუმარცხებლად მიიწევენ თასისკენ რიგითი მაეგაშირები — ვაკანოსატო, ტაკამისაკარი და ბალტი. განსაკუთრებით გამოსარჩევი ბალტის წარმატებაა. ამ ესტონელმა სუმოისტმა სექტემბრის ბაშო მეორე დივიზიონ ძიოროში ჩაატარა და უმაღლესს ახლა დაუბრუნდა.

დღეს მეოთხე ტურია. ლევან ცაგურია რიგით მაეგაშირა კასუგანისიკის დაეჭიდება.

**ოთარ ზაღლაძელიძე**







ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს დავით ბედინაძეს და რამაზ ნოზაძეს წლეულს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდათ. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ორივე იმ ათეულში შეიყვანა, რომლიდანაც 1 დეკემბერს 2007 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავე უნდა აირჩეს.

საუკეთესო გულშემატკივართა ხმებით გამოვლინდება. ბედინაძემ და ნოზაძემ თავიანთი საქმე უკვე გააკეთეს. ახლა ჩვენი ჯერია.

www.allsport.ru
www.wrestrus.ru



**მიმდინარე შედეგები**

| | |
|---|---|
| ალექსეი მიშინი (რუსეთი) | 3159 (35,2%) |
| ფარიდ მანსუროვი (აზერბაიჯანი) | 3135 (34,9%) |
| სორიან რეიჰანპური (ირანი) | 1556 (17,3%) |
| ხასან ბაროევი (რუსეთი) | 676 (7,5%) |
| რამაზ ნოზაძე (საქართველო) | 184 (2,0%) |
| მიგელ ლოპესი (კუბა) | 96 (1,1%) |
| დავით ბედინაძე (საქართველო) | 72 (0,8%) |
| იავორ იანაკიევი (ბულგარეთი) | 60 (0,7%) |
| ნიკოლაი გერგოვი (ბულგარეთი) | 37 (0,4%) |
| იან ჩოი პარკი (სამხ. კორეა) | 9 (0,1%) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასტერსის თასი. შანხაი. ჩინეთი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 4 450 000 $

# ახალი ფერი: ფერერი ოქროთი დაიფერა




### ოქროს ჯგუფი

**რიშარ გასკე (8, საფრანგეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) 6:4 6:2**
**დავიდ ფერერი (6, ესპანეთი) — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 4:6 6:4 6:3**

| | თ | მ | ნ | სტ |
|---|---|---|---|---|
| დავიდ ფერერი | 2 | 2 | 0 | 4:1 |
| რიშარ გასკე | 2 | 1 | 1 | 3:2 |
| რაფაელ ნადალი | 2 | 1 | 1 | 3:3 |
| ნოვაკ ჯოკოვიჩი | 2 | 0 | 2 | 0:4 |

წლევანდელი მასტერსის თასი სენსაციებით ყოველდღიურად გვანებივრებს. ჯერ იყო და დავიდ ფერერმა ნოვაკ ჯოკოვიჩი წააქცია, შემდეგ ფერნანდო გონსალესმა კარიერაში პირველად მოუგო როჯერ ფედერერს და თანამედროვეობის ნომერ პირველი ჩოგანი ჰაერში გამოკიდა. ამდენი და ამხელა მოულოდნელობები ერთ ტურნირზე კი არა, ხანდახან ორი-სამი თვის განმავლობაში არ ხდება ხოლმე. თუმცა გუშინდელმა სათამაშო დღემ მაინც ყველაფერს გადააჭარბა. სამართლიანად იკითხავთ, ასეთი რა მოხდაო?

მოხდა ის, რომ ნახევარფინალში ველარანაირად ვერ ითამაშებს მსოფლიოს მესამე ჩოგანი და დიდი შანსია მისი ბედი მეორე ნომერმაც გაიზიაროს. დიახ, ტურნირი უკვე დარჩა ნოვაკ ჯოკოვიჩის გარეშე — მისთვის ბოლო შეხვედრას მხოლოდ პრესტიჟის მნიშვნელობაღა ექნება და ნადალსაც მაგრად უნდა გაუმართლოს, ჯგუფიდან გასვლა რომ შეძლოს.

თუმცა ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ და დღის პირველი შეხვედრით დავიწყოთ, სადაც ერთმანეთს პირველი ტურის უიღბლონი, ჯოკოვიჩი და რიშარ გასკე დაეტაკნენ. ჩანს, ახალგაზრდა ჯოკოვიჩი სეზონმა მაგრად გადაღალა — ხუმრობა ხომ არ არის 20 წლის ბიჭისთვის 100-ზე მეტი შეხვედრის ჩატარება. ჰოდა, ეტყობა სერბი აბსოლუტურად გამოიფიტა, რადგანაც ჩინეთში თავის თავს არ ჰგავს და ძალიან უხეიროდ ჩოგნაობს. ადრე ისიც ვთქვით, ბალკანელი აზიაში ყველაზე ადრე ჩავიდა, ვგებ აქაურობას შევეჩვიოო, მაგრამ როგორც ხედავთ, ვერც ამან უშველა — შანხაიში გამართულ ორივე შეხვედრაში ამაზრზენად გამოიყურებოდა და ჯერჯერობით სეტის მოგებაც ვერ მოახერხა.

სამაგიეროდ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს გასკეს თამაში, რომელმაც სერბს კარგი გაკვეთილი ჩაუტარა. ფრანგმა მეტოქე განსაკუთრებით ბექჰენდით გააწამა — ამ კომპონენტში კი გალი, ფედერერის აღიარებით, დღესდღეობით სულაც საუკეთესოა. ჯოკოვიჩმა პირველ სეტში კიდევ შეძლო ბრძოლა, მაგრამ ბოლოსკენ მაინც გატყდა. მეორეში კი გასკე ერთი თავით მაღლა იდგა.

„თამაშის წინ გავიფიქრე, დასაკარგი აღარაფერი მაქვს და ამიტომ ჩემი სიამოვნებისთვის ვითამაშებ მეთქი. ჰოდა, ყველაფერი ბრწყინვალედ გამომივიდა" — კმაყოფილი იყო გასკე.

რომ ვთქვით, დღის სენსაციების ლიმიტი აქ უნდა ამოიწუროსო, მეორე შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ამ მასტერსის თასზე ფავორიტები ვერ ფავორიტობენ. დავიდ ფერერმა ჯოკოვიჩის დაჩოქება არ იკმარა და რაფაელ ნადალიც გაამწარა.

ეს ესპანური დუელი რამდენიმე თვის წინ აშშ-ს ღია პირველობაზეც შედგა და ყველასთვის მოულოდნელად მაშინაც ფერერმა იმარჯვა — თუმცა მაშინ ნადალს მუხლები ტკიოდა და რაფას წარუმატებლობაც ამას დააბრალეს. ისე გამოვიდა, რომ ეს თავად ნადალმაც ირწმუნა, რადგანაც „ფლეშინგ მედოუზზე" მარცხისგან მან სათანადო დასკვნების გაკეთება ვერ შეძლო — ისევ დაცვაში ჩადგა და მეტოქის გამოფიტვაზე აიღო აქცენტი.

აი, ფერერს კი კარგად ხსომებია რის ხარჯზე შეძლო რაფას წაქცევა და გუშინაც იმავე ტაქტიკით თამაში გადაწყვიტა — დავიდი უტევდა და მუდმივად თამაშის გამწვავებას ცდილობდა. პირველ სეტში ფერერს ეს არ გამოუვიდა, რადგანაც რისკიანი თამაშის გამო ბლომად შეცდომა დაუშვა. ამიტომაც ნადალი დაწინაურდა და საბოლოოდ დაწყნარდა, რაც მისთვის დამღუპველი გამოდგა.

ფერერმა საკუთარი თამაში დაახლოებით მეორე სეტის შუაწელზე იპოვა და იქიდან მოყოლებული მატჩის ბატონ-პატრონიც ის იყო. დავიდი ისე ზუსტად და მძლავრად უტევდა, რომ რაფასნაირი ბოლომდე მებრძოლიც კი იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარა.

მოკლედ, ფერერმა ნახევარფინალში თამაშის უფლება დაიბევა და ისე გამოდის, რომ ახლა ნადალის ბედიც მის ხელშია. საქმე იმაშია, რომ გასკე მოგებულ-წაგებული სეტების რაოდენობით ნადალს უსწრებს და ფერერს ორ პარტიაში თუ მოუგებს, მაშინ რაფა ჯგუფში ჩარჩება. ამიტომ ესპანელმა ვარსკვლავიჭუნამ ბრძოლის გასაგრძელებლად ჯოკოვიჩი უნდა წააქციოს და იმაზე ილოცოს, რომ ფერერმა გასკეს ერთი სეტი მაინც აართვას.

**ქახა ლოჩაშვილი**

# სამნი ბადეში




**საჩოგბურთო** სეზონის მიწურულს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით კიდევ არაერთი ტურნირია გასამართი. რამდენიმე ამ კვირაშიც ტარდება და მათგან სამში ქართველი ჩოგბურთელებიც მონაწილეობენ.

ჩვენი ქალთა ჩოგბურთის ლიდერი მაკა ჩახნაშვილი ფრანგული დეუვილის თიხნარზე მიმდინარე 50-ათასიან შეჯიბრში მონაწილეობს, ძირითად ბადეშია და პირველ წრეში მე-3 ნომრად განთესილ უზბეკს, 23 წლისა და რეიტინგში 93-ე ადგილზე მყოფ აკგულ ამანმურადოვას ხვდება.

ძირითად ბადეშია ანა ტატიშვილიც, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის შტატის ქალაქ ლა ქუინტას მაგარსაფარზე მიმდინარე 50-ათასიან ტურნირში ცდის ბედს. პირველ წრეში ანას მეტოქე 18 წლის ამერიკელი ალექსა გლეტჩი იქნება, ვისაც WTA-ს კლასიფიკაციაში 269-ე პოზიცია უკავია.

აი, სოფო ქვაცაბაიამ კი ძირითად ბადეში მოხვედრა საკვალიფიკაციო ბარიერის დაძლევით მოახერხა. სოფო ესპანეთში, ბალეარის კუნძულების ქალაქ მალიორკას თიხნარზე თამაშობს 10-ათასიან ტურნირში და საკვალიფიკაციო ეტაპზე მან სამი მეტოქე დაამარცხა — 15 წლის ურეიტინგო ესპანელ ლარა არუაბარენა ვეხინოს 6:1 3:6 6:2 სძლია, 16 წლის ასევე ურეიტინგო შვეიცარიელი ტალისა კუჩერა 6:0 6:1 გაანადგურა, ხოლო 17 წლისა და კლასიფიკაციაში 946-ე პოზიციაზე მყოფ ესპანელ ფარა აბოგერ სელოს 6:1 6:3 მოუგო.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ქვაცაბაიას მეტოქე 17 წლისა და რეიტინგში 1027-ე ადგილზე მყოფი ესპანელი მარტა ესაპიგადო გადო იქნება, ვინც შეჯიბრში „ვაილდ ქარდით", ანუ ორგანიზატორთა მიწვევით მოხვდა.



# მეკლდეურობა ხუთ რგოლს ეკეკლუცება

**ალბათ,** არ არსებობს სპორტის სახეობა, რომლის წარმომადგენლებიც ოლიმპიური თამაშების სარბიელზე გამოსვლას არ ფიქრობდნენ. ამგვარად მეოცნებეთა შორის მეკლდეურებიც არიან, რომლებსაც სულ უფრო ეძალებათ ასეთი ფიქრები. მათი იმედის ნაპერწკალს აღვივებს სპორტულ მეკლდეურთა საერთაშორისო ფედერაციის (IFSC) პრეზიდენტ მირკო სკოლიარისის განცხადება, ჩვენი სახეობის ოლიმპიურ ოჯახში მოხვედრის საკითხს გაისად კოპენჰაგენში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე განიხილავენო. სკოლიარისის თქმით, თუ ყველაფერი წარმატებით ჩაივლის, მაშინ 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მედლებისთვის მეკლდეურებიც იბრძოლებენ. ამას გარდა, IFSC 2010 წლის პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შესატანად მეკლდეურობის წარდგენას აპირებს.

ეს ყოველივე ამ რამდენიმე დღის წინათ იაპონიის ქალაქ მაცუმოტოში გამართულ IFSC პლენარული ასამბლეის სხდომაზე და VIAA-ს (მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაცია) გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდა.

აქ უპრიანი იქნება ისტორიული ექსკურსი, თუ როგორ ეპარებოდა და ეკეკლუცებოდა მეკლდეურობა ოლიმპიურ თამაშებს. პირველად ეს მოხდა 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მეკლდეურებმა საჩვენებელი გამოსვლები მოაწყვეს. მაშინ ოცი ქვეყნის მეკლდეურთა შორის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებიც იყვნენ. მიუნხენში თავისი ოსტატობა აჩვენა თბილისელმა მეკლდეურმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა და მრავალგზის პრიზიორმა ლადო გურჩიანმაც.

იმავე დღეებში მიუნხენში ჩატარდა პრესკონფერენცია თემაზე: „მეკლდეურობა, როგორც ოლიმპიური სახეობა". ამ საკითხზე ხმები გაიყო, მაგრამ კამათი არ შეწყვეტილა იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან ხუთრგოლიან შეჯიბრებას მეკლდეურობაც დაამშვენებდა.

1993 წელს მოსკოვში გაიმართა მეკლდეურთა მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი და მთამსვლელთა საერთაშორისო ფედერაციის მეკლდეურობის ასოციაციის სხდომა, სადაც გამოთქვეს რწმენა, რომ ეს სახეობა 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იქნებაო. ეს ოლიმპიური თამაშები სოლტ ლეიკ სიტიში ჩატარდა, მაგრამ მეკლდეურთა შეჯიბრება მის პროგრამაში ვერ ვნახეთ. ვერც ვნახავდით, რადგან ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრამდე გასარკვევი იყო, მეკლდეურობა ზამთრის სახეობად მიაჩნიათ თუ ზაფხულის, მაგრამ ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი დღემდე არ არსებობს — ერთნი „თეთრი" ოლიმპიადის სასარგებლოდ იხრებიან, მეორენი „მწვანეობას" ამჯობინებენ.

ეტყობა, ამ დავაში ალბათ „მწვანეები" იმარჯვებენ. ყოველ შემთხვევაში, ის მიუნხენური მეკლდეურობა სწორედ ამ ფერისა იყო, მერე კი ეს სახეობა 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზეც, საჩვენებელი სტატუსით, შიგ ქალაქის გულში კეკლუცობდა.

ოლიმპიურ ეპიცენტრში აგებულ ხელოვნურ კლდეებზე ერთგან ნებისმიერ გამვლელს, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით საკუთარი თავის გამოცდა შეეძლო, ხოლო მეორეგან, სადაც უარყოფითი დახრილობით კლდეებიც იყო, თავიანთი ოსტატობის დემონსტრირებას მეტ-ნაკლებად გავარჯიშებული მეკლდეურები ახდენდნენ.

ვერ გეტყვით, ატლანტელებმა შუაგულ ქალაქში გამვლელ-გამომვლელთა თავშესაქცევად ააგეს ეს „კლდეები", თუ უბრალოდ ფულის მახე იყო, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამგვარად მეკლდეურობას პოპულარიზაცია და უდიდესი რეკლამა გაუწიეს.

ასე რომ, მეკლდეურები ხუთი რგოლის ირგვლივ დარბიან და შიგ შეღწევას ლამობენ. ეს რომ მრავალი წლის წინათ მომხდარიყო, გიყვარდეთ, საქართველოს მეკლდეურები ოლიმპიური მედლების ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტები იქნებოდნენ. იმ დროს ჩვენი „კლდის ვეფხვები" მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი საბჭოთა კავშირში თუ მის ფარგლებს გარეთ თავიანთი ოსტატობით ყველას აოცებდნენ, მათ არც შალვა მარგიანი ჩამორჩებოდა და ლიდერთა ტრადიციას ირაკლი გელდიაშვილი და იგივე ლადო გურჩიანიც დიდი წარმატებით აგრძელებდნენ. მათი ოსტატობის ათვისებას ბევრი უცხოელი ეშურებოდა, დღეს კი ქართული მეკლდეურობის საქმე ისეა წამხდარი, რომ იქით გვგვხდომია სასწავლი. თანაც ხელმოკლეობის გამო საერთაშორისო შეჯიბრებებზე გამგზავრება და მონაწილეობა სანატრელი გაგვხდომია და თუ მეკლდეურობა მართლაც გაოლიმპიურდება, მისი ლიცენზიების მოპოვება, მიუხედავად გარკვეული სასიკეთო ძვრებისა, ჩვენთვის ისეთივე პრობლემატური იქნება, როგორც საქართველოში სხვა ჩამორჩენილი და მაჩანჩალა სახეობების წარმომადგენლებს აქვთ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## მიხაილ ტალის მემორიალი მოსკოვი. რუსეთი. 9-23 ნოემბერი

III ტური

| | | |
|---|---|---|
| გატა კამსკი (აშშ) | 0:1 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |
| ევგენი ალექსეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) | 0:1 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 1:0 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |

# კარლსენი ჭერში აფრინდა


ვლადიმირ კრამნიკი და პეტერ ლეკო

**ამ,** ტურიც ამას ჰქვია, ხუთი პარტიიდან მხოლოდ ერთი დასრულდა ყაიმით. გამოსარჩევი ვლადიმირ კრამნიკისა და ექსლიდერ პეტერ ლეკოს დაპირისპირება იყო. შეგახსენებთ რომ ეს დიდოსტატები სამი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში დაეჯახნენ, შეხვედრა 7:7 დასრულდა და მომდევნო ეტაპზე რუსი გავიდა. მას შემდეგ კი სადაც შეხვდნენ ერთმანეთს, უშელავათო ბრძოლები გამართეს და გულშემატკივრებს თავი დაამახსოვრეს. ჯამში, ერთმანეთში ჩატარებული 46 შეხვედრიდან კრამნიკმა 5 მოიგო, ოთხი წააგო, დანარჩენი კი ყაიმით დასრულდა.

პარტია რუსმა თავის საყვარელი, კატალონიური დებიუტით დაიწყო. ლეკო აქტიურად ჩაერთო თამაშში, ლაზიერის მხრიდან პაიკებით შეუტია თეთრებს და მსუბუქი ფიგურებით მიაწვა. კრამნიკმა უკან დახია ძალები, იერიშისთვის შეამზადა და 23-ე სვლაზე ეტლით მიაწვა. მსოფლიოს ექსჩემპიონმა მარცხენა მხარეს გადმოსხა ჯარი, c ხაზის პაიკი გასაყვანად დაქოქა და გვერდზე დაცვად კუ-ეტლის დუეტი ამოუყენა. ლეკომ მხედარ-ეტლით სცადა მეტოქის შეჩერება, თუმც თეთრი პაიკს ვერაფერი მოუხერხა და 62-ე სვლაზე დანებება არჩია.

ყველას აკვირვებს 16 წლის მაგნუს კარლსენის თამაში. ნორვეგიელმა ვუნდერკინდმა წინა ტურში შავებით კრამნიკს დასცინცლა ნახევარი ქულა, მესამეში კი დმიტრი იაკოვენკო დაამარცხა და ახლა ლიდერთა შორისაა.

**ლაშა გეგეჭკორი**

### სატურნირო ვითარება

1. მაგნუს კარლსენი — 2
2. შაჰრიარ მამედიაროვი — 2
3. ვლადიმირ კრამნიკი — 2
4. პეტერ ლეკო — 1,5
5. ალექსეი შიროვი — 1,5
6. ევგენი ალექსეევი — 1,5
7. ბორის გელფანდი — 1,5
8. ვასილ ივანჩუკი — 1
9. გატა კამსკი — 1
10. დმიტრი იაკოვენკო — 1



# აზერბაიჯანელთა ოლიმპიური ბიუჯეტი

**აზერბაიჯანის** პარლამენტმა 2008 წლის ბიუჯეტზე იმსჯელა და პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ქვეყნის სპორტსმენთა სამზადისზეც ისაუბრა. ამ მსჯელობისას ითქვა, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად 3,4 მილიონი ამერიკული დოლარია საჭირო, რომლის გამოყოფის საკითხიც დადებითად გადაწყდა.

# ლონდონმა სტადიონი წარმოადგინა

**ლონდონში** წარმოადგინეს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სტადიონის პროექტი, სადაც ძირითადი შეჯიბრებები, აგრეთვე ამ უდიდესი ფორუმის საზეიმო გახსნა-დახურვის ცერემონიალები გაიმართება.

80 000-ადგილიანი ამ სტადიონის მშენებლობა, რომელიც ლონდონის აღმოსავლეთით, სტენფორდში განხორციელდება, 496 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაჯდება. მისი მშენებლობა გაისად აპრილში დაიწყება და 2011 წელს დასრულდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კასამაიორის ძნელი გამარჯვება


ხოელ კასამაიორს (მარჯვნივ) ხოსე არმანდო სანტა კრუსის დამარცხება გაუჭირდა

**WBC-ს** ვერსიით დროებითმა ჩემპიონმა მსუბუქ წონაში ხოელ კასამაიორმა გასულ უქმეებზე ძალიან მძიმე ბრძოლა გადაიტანა, მაგრამ მაინც დაამარცხა ახალგაზრდა მექსიკელი ხოსე არმანდო სანტა კრუსი.

კასამაიორი მეტოქეს აშკარად სჯობდა გამოცდილებითა და ტაქტიკური მომზადებით, მაგრამ ჯიუტი მექსიკელი მთელი ბრძოლის განმავლობაში წინ ჯიქურ მიიწევდა. სწორედ ამის გამო კუბელი პირველივე რაუნდში წაიქცა და მსაჯმა ნოკდაუნიც ჩაუთვალა, მაგრამ გამეორებაზე გამოჩნდა, რომ კასამაიორს მხოლოდ ფეხი დაცდენოდა.

თავიდან სანტა კრუსი უფრო აქტიურობდა და საწყის რაუნდებში რამდენჯერმე მწარედაც მისწვდა კუბელს, თუმც კასამაიორმა კონტრშეტევებით თანდათან გამოასწორა მდგომარეობა, შემდეგ კი საკმაო ზეწოლაშიც მოაქცია მეტოქე.

მთლიანობაში კი თანაბარი ბრძოლა იყო და ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, მსაჯების აზრი რომ გაიყო — ორმა მინიმალური უპირატესობით, 114-113 გამარჯვება კასამაიორს მიაკუთვნა, მესამე რეფერიმ კი იმავე ანგარიშით სანტა კრუსის მხარე დაიჭირა.

# მარგარიტოს დაბრუნება


ანტონიო მარგარიტომ გოლდენ ჯონსონს სასტიკად სცემა

**პოლ უილიამსთან** წაგების შემდეგ რინგზე პირველად გავიდა ნახევრადსაშუალო წონაში აწ უკვე ექსჩემპიონი ანტონიო მარგარიტო. თუმც მექსიკელის დაბრუნება საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა, რადგანაც მას 33 წლის ამერიკელ გოლდენ ჯონსონის წასაქცევად ორ წუთზე ნაკლები დასჭირდა.

ჯონსონი მეტოქის პირველი აპერკოტისთანავე ნოკდაუნში აღმოჩნდა და ფეხზე დიდი წვალებით წამოდგა. მარგარიტომ მეტოქე პირველ რაუნდში კიდევ ორჯერ დააგდო ფიცარნაგზე — ბოლოს რეფერიმ ჯონსონის ასეთ წვალებას ველარ გაუძლო და მარგარიტოს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

# ჰეიმ პარიზში ფრანგი დასცა



**ბრიტანელმა** დევიდ ჰეიმ საკუთარი პუბლიკის წინ შეარცხვინა ჟან-მარკ მორმეკი, რომელიც მეშვიდე რაუნდში დაანოკაუტა და პირველ მძიმე წონაში WBC-სა და WBA-ს ტიტულები წაართვა.

არადა, ბრძოლა ისე დაიწყო, რომ ამდგავარ შედეგს ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. ჰეი კი აქტიურობდა, მაგრამ მისი დარტყმები თითქოს ვერანაირ ზიანს ვერ აყენებდა ფრანგს. მასპინძელმა კი ნელნელა ტემპს უმატა და მეოთხე რაუნდში ბრიტანელი დაანოკდაუნა კიდეც.

თუმც ჰეიმ გაუძლო ფრანგის ზეწოლას და მეექვსე რაუნდის ბოლოს სერიოზულად პირველად მისწვდა მეტოქეს. ბრიტანელმა საქმე მეშვიდე რაუნდის დასაწყისშივე მოათავა და მორმეკი ფიცარნაგს ჩაახუტა.

ბრძოლის შემდეგ ჰეიმ განაცხადა, ახლა ზემძიმე წონაში გადასვლას და იქ გაჩემპიონობას ვაპირებო.

# პაკიაოს დიასი უნდა


მენი პაკიაო

**თანამედროვეობის** ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივედ მიჩნეულ ფილიპინელ მენი პაკიოას ამერიკელ დევიდ დიასთან ჩხუბი სწადია. შეგახსენებთ, რომ ამ დიასმა ორიოდ კვირის წინ მსუბუქ წონაში ლამის ყველა ქამარი გააერთიანა და ახლა ის სამი — WBA-ს, WBO-ს და IBF-ის ვერსიების ჩემპიონია.

პაკიაოს დიასი იმიტომ აურჩევია, რომ მისი ჩხუბის სტილი მოსწონს — მარჯვენა ხელით ჩხუბობს, თან დაცვასაც დიდ ყურადღებას არ აქცევს და დარტყმების „გაშვება“ იცისო.

ისეთი ჭორებიც დადის, პაკიაოს ამ დიასთან თუ არა, მაშინ სხვა, მსუქტუბ წონაში WBC-ს ვერსიით ჩემპიონ დევიდ დიასთან მოუწევს დატაკებაო.

მოკლედ, ფილიპინელის მომავალი მეტოქე ჯერ უცნობია, მაგრამ სამაგიეროდ ცნობილია პაკიაოს მორიგი ბრძოლის თარიღი — ვინც არ უნდა იყოს, მენიმ 2008 წლის 15 მარტს უნდა იჩხუბოს. საქმე იმაშია, რომ ფილიპინელს ტელევიზიებთან აქვს შეთანხმებული ეს დღე და უნდა, არ უნდა, რინგზე გასვლა მოუწევს.

**კახა ლომჯყვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რონ ფრენსისი, ალ მაკინისი, ჯიმ გრეგორი, მარკ მესიე და სკოტ სტივენსი

# ვარსკვლავთცვენა ტორონტოში

## დიდების დარბაზი დიდებით შეივსო

**კანადური** დროით ორშაბათს ღამით, ჩვენთვის კი გუშინ გამთენიისას, ტორონტოში მდებარე ნჰლ-ის დიდების დარბაზი ახალი სახელებით გამდიდრდა. თუმც კანადის ამ უდიდეს ქალაქში არასოდეს ყოფილა ისეთი ვარსკვლავთცვენა, როგორც გუშინ — დიდების დარბაზში ხომ ნჰლ-ის ერთბაშად რამდენიმე ლეგენდა მიიღეს. ეს პატივი მარკ მესიეს, რონ ფრენსისს, ალ მაკინისს, სკოტ სტივენსსა და ჯიმ გრეგორის ერგოთ.

ამ ხალხის სიდიადის გაცნობიერება მათ მონაგარზე თვალის შევლებთაც შეიძლება. მესიე კარიერაში დაგროვილი 1857 ქულით მეორეა ნჰლ-ის ყველა დროის ბომბარდირთა დავაში და მხოლოდ ყოფილ პარტნიორს, „დიად ვინმე“ უეინ გრეცკის ჩამორჩება. გარდა ამისა, მესიე ჰოკეის ისტორიაში ყველაზე დიდ კაპიტნად და ლიდერად არის მიჩნეული — აკი შარშან სპეციალურად მისთვის ახალი პრიზიც გამოიგონეს, რომელსაც თავად მარკი ყოველთვიურად ნჰლ-ში ლიდერული თვისებებით გამორჩეულ ჰოკეისტს გადასცემს.

ფრენსისის კარიერული მონაგარი 1798 ქულაა — ის მესიეს ყველა დროის ბომბარდირთა დავაში მხოლოდ ორი საფეხურით ჩამორჩება, ხოლო 1249 შედეგიანი გადაცემით კი ნჰლ-ის ისტორიაში მეორეა და მხოლოდ იგივე გრეცკი უსწრებს. ფრენსისი ლიგის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ჯენტლმენ ჰოკეისტად ითვლება.

ალ მაკინისის ანგარიშზე 1274 ქულაა და ყველა დროის მესამე ბომბარდირია მცველთა შორის. მაკინისის გიჟური დარტყმის გახსენებაზე ნჰლ-ის ზოგიერთი მეკარე დღესაც ძრწის.

სტივენსს 908 ქულა მოუნაგრებია, ხოლო მის მიერ ჩატარებული 1635 მატჩი დღესაც საუკეთესოა ნჰლ-ის მცველთა შორის. „გიჟი სკოტი“ 90-იანი წლებში ერთ-ერთ ფლაგმანად ქცეულ „ნიუ ჯერსის“ კაპიტანი გახლდათ, რომლის ხელძღვანელობითაც „ეშმაკები“ მეტოქეებს ნამდვილ ჯოჯოხეთს უწყობდნენ ხოლმე ყინულზე.

ამ ოთხეულის ანგრიშზე მთლიანობაში 11 სტენლის თასია — მესიემ ექვსჯერ („ედმონტონთან“ და „რეინჯერსთან“) მოიგო, ფრენსისმა ორჯერ („პიტსბურგთან“), სტივენსმა სამჯერ (თავის „ნიუ ჯერსისთან“) და მაკინისმა ერთხელ („კალგარისთან“).

ამ კომპანიაში გრეგორი შედარებით უცნობი სახეა — ის ჰოკეის ფუნქციონერი იყო და თავის დროზე „ტორონტოს“ გენერალური მენეჯერი გახლდათ, შემდეგ ნჰლ-ის ცენტრალური სკაუტთა ბიუროს ხელმძღვანელობდა. დღესდღეობით კი გრეგორის ნჰლ-ის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი უკავია.

**ქახა ლომჯაშვილი**

# ლეკავალიეს კვირა



**გასული** სეზონის მთავარი სნაიპერი ვენსან ლეკავალიე ნელ-ნელა იბრუნებს შარშანდელ ფორმას და ქულების რეგულარულად დაგროვებასაც იწყებს. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, „ტამპას“ ლიდერი გასული კვირის პირველ ვარსკვლავად რომ დაასახელეს. ოღონდ ეგაა, რომ წინა შვიდდღეულში ლეკავალიე არა სნაიპერული, არამედ უფრო თავისი გამთამაშებლური თვისებებით გამოირჩა — მან ექვსჯერ საგოლედ უპასა თანაგუნდელებს და მხოლოდ ორი შაიბა მიითვალა, მისმა „ელვებმა“ კი ოთხიდან სამ შეხვედრაში იმარჯვეს.

ლეკავალიე ტამპელთა მთავარი ბომბარდირია, მთლიანად ნჰლ-ში კი თავისი 24 ქულით (9+15) მესამე ადგილს იყოფს კიდევ ხუთ სხვა ჰოკეისტთან.

ნორმალური კვირა ჰქონდა ლიგის ერთ-ერთ მაჩანჩალა „ფინიქსსაც“, რომლის რიგებშიც სტივ რაინპრეხტი გამოირჩეოდა და მეორე ვარსკვლაობაც მას ერგო. კანადელი ცენტრის ანგარიშზე 7 ქულა იყო (4+3), „კოიოტებმა“ კი სამიდან ორი შეხვდრა მოიგეს.

მესამე ვარსკვალავად „სან ხოსეს“ ვეტერანი ჯერემი რენიკი დაასახელეს, რომელიც გასულ კვირას „ზვიგენების“ სამივე შეხვედრაში აგროვებდა ქულებს. თუმც რენიკი სამეულში უფრო იმიტომ მოხვდა, რომ რამდენიმე დღის წინ ნჰლ-ში თავისი მე-500 შაიბა შეაგდო და მხოლოდ მესამე ამერიკელად იქცა, ამ ნიშნულს რომ უწია. „სან ხოსესთან“ თავის პირველ, მთლიანობაში კი მე-19 ნჰლ-ურ სეზონში ჩატარებულ 15 მატჩში რენიკის ანგარიშზე 10 ქულაა (5+5).

**ქახა ლომჯაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

12 ნოემბერი

**პიტსბურგი 2:3 ნიუ ჯერსი**

*0:2 1:0 1:1*

0:1 ზეიჯაკი (5), 0:2 პარიზე (11), 1:2 კროსბი (21), 2:2 მალკინი (51), 2:3 ელიაში (55)

**კოლუმბუსი 1:4 ნეშვილი**

*1:2 0:0 0:2*

0:1 დიუმონი (7), 1:1 ვიბორნი (7), 1:2 ერატი (13), 1:3 დიუმონი (52), 1:4 ერატი (60)

**ფილადელფია 3:2 აილენდერსი**

*1:0 1:2 1:0*

1:0 აპშოლი (11), 1:1 სილინჯერი (26), 2:1 აპშოლი (32), 2:2 საიმონი (39), 3:2 რიჩარდსი (44)

**ფლორიდა 3:4 კაროლინა**

*1:1 0:0 2:3*

1:0 შტუმპელი (3), 1:1 უილიამსი (19), 1:2 სტილმანი (41), 2:2 ვაისი (42), 2:3 უილიამსი (44), 3:3 ბუტი (53), 3:4 სტილმანი (59)

**სან ხოსე 5:0 ფინიქსი**

*1:0 1:0 3:0*

1:0 გრირი (19), 2:0 ტორნტონი (39), 3:0 სეტოგუჩი (45), 4:0 სეტოგუჩი (56), 5:0 ტორნტონი (57)



ფილადელფია — აილენდერსი: მასპინძელი ბრეიდონ კობურნისა და სტუმარი მაიკ კომრის (89) დუელი

# შჩასტნების ბედნიერი ტრადიცია



**პოლ შჩასტნი** ოჯახური ტრადიციების დიდ თაყვანისმცემელი ყოფილა. „კოლორადოს“ ახალგაზრდა ლიდერმა ლომის წილი დაიდო დივიზიონში ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტ „მინესოტას“ დამარცხებაში, როცა ორი ქულა (1+1) მიითვალა. ამით პოლმა შჩასტნების ოჯახური ტრადიციაც დაიცვა — ნჰლ-ში 100 ქულის მოგროვებას 100 მატჩზე ნაკლები მოანდომა. უმცროსი შჩასტნისთვის ეს შეხვედრა 99-ე გახლდათ ნჰლ-ში.

შჩასტნის ლეგენდარულმა მამამ, პეტერმა, იგივე ნიშნული 73 შეხვედრაში გადალახა. პოლზე სწრაფები იყვნენ მისი ბიძებიც — მარიანი და ანტონი, რომლებმაც 100-ქულიან ბარიერს შესაბამისად 82 და 95 შეხვედრაში უწიეს.

**ქახა ლომჯაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნინო სილაგაძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაკა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge